

წითელი ჯვრის საერთაშორისო მიმოხილვა, No. 864, გვ. 793-821.

თარგმანი შესრულებულია წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის მიერ.

საბრძოლო მოქმედებების მარეგულირებელი წესებით დადგენილი სიფრთხილის ზომები

ჟან-ფრანსუა კეგინე*

ჟან-ფრანსუა კეგინე არის წითელი ჯვრის საერთაშორისო
კომიტეტის სამართლებრივი დეპარტამენტის მრჩეველი.

მიმოხილვა

ეს სტატია წარმოადგენს იმ სიფრთხილის ზომების აღწერილობით ანალიზს, რომლებიც საბრძოლო მოქმედებების უარყოფითი შედეგებისგან სამოქალაქო მოსახლეობისა და სამოქალაქო ობიექტების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით შეიარაღებული კონფლიქტის ყველა მხარემ უნდა მიიღოს. ავტორი მიიჩნევს, რომ სიფრთხილის ზომები უნდა მიიღოს არა მხოლოდ თავდასხმის განმახორციელებელმა მხარემ, არამედ იმ მოწინააღმდეგე მხარემაც (რომელიც თავს იცავს შეიარაღებული თავდასხმისგან), რათა თავიდან აიცილოს, ან შეამციროს მაინც, შეიარაღებული თავდასხმის შედეგად გამოწვეული მსხვერპლი და ზიანი. საბრძოლო მოქმედებების წარმოების კონტექსტში სიფრთხილის ზომების მიღების ვალდებულება საყოველთაოდ აღიარებულ სტანდარტს წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე რეალობის გათვალისწინებით სიფრთხილის ზომების მარეგულირებელი დებულებები საკმაოდ მოქნილია, შეცდომებისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის წესების არასწორი ინტერპრეტაციის თავიდან აცილება მაინც გარდაუვალია. ამასთან, ისიც გასათვალისწინებელია, რომ ჰუმანიტარული მოთხოვნებისა და სამხედრო ინტერესების გაწონასწორება ყოველთვის მარტივი არ არის.

სამოქალაქო მოსახლეობისა და სამოქალაქო ობიექტების პატივისცემის უზრუნველყოფა და მათი საბრძოლო მოქმედებებისაგან დაცვა საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიზანს წარმოადგენს. ჟენევის კონვენციების I დამატებითი ოქმის 48-ე მუხლით გათვალისწინებული ფუნდამენტური წესი შეიარაღებული კონფლიქტის მხარეებს ავალდებულებს, რომ სამოქალაქო პირები და სამოქალაქო ობიექტები ყოველთვის განასხვავონ კობატანტებსა და სამხედრო სამიზნეებისაგან და შესაბამისად, საბრძოლო მოქმედებები მხოლოდ სამხედრო სამიზნეების წინააღმდეგ მიმართონ.

* ნაშრომში წმინდად წარმოდგენილია ავტორის მოსაზრებები, რომლებიც ხანდახან შესაძლოა განსხვავდებოდეს წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის პოზიციისგან. ეს სტატია არის ავტორის სადოქტორო ნაშრომის (*Le principe de distinction dans la conduite des hostilités – Un principe traditionnel confronté à des défis actuels*, Thèse n° 706, Université de Genève, Institut universitaire des Hautes Etudes Internationales, Genève, 2006, 493) განახლებული და ნათარგმნი ვერსია. ნაშრომის რედაქტირებისა და მნიშვნელოვანი კომენტარებისთვის ავტორი მადლობას უხდის ნატალი ვაიზმანს და წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის სამართლებრივ დეპარტამენტს.

განსხვავების ზოგადი პრინციპიდან რამდენიმე სპეციალური ვალდებულება გამომდინარეობს: სამოქალაქო პირებზე და ობიექტებზე უშუალო თავდასხმების აკრძალვა¹ და სამოქალაქო მოსახლეობაში შიშის დაწერვის მიზნით ძალადობრივი ქმედებების განხორციელებისა და ასეთი ქმედებების მუქარის აკრძალვა.² ანალოგიურად, აკრძალულია განურჩეველი ხასიათის იერიშები. თავდასხმა განურჩეველი იქნება, თუკი არ არის ან ვერ იქნება მიმართული კონკრეტული სამხედრო ობიექტის წინააღმდეგ ან თუკი შეუძლებელია თავდასხმის შედეგების საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მოთხოვნების შესაბამისად შეზღუდვა.³

ომების მკაცრი რეალობის გათვალისწინებით საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალში მიღებულია, რომ სამხედრო ობიექტების წინააღმდეგ მიმართული კანონიერი თავდასხმის შედეგად შესაძლოა შემთხვევით სამოქალაქო პირები და ობიექტებიც დაზარალდნენ. ასეთ შემთხვევებს 'თანმდევი ზიანის' ან 'თანმდევი მსხვერპლის' კატეგორიად მოიხსენიებენ;⁴ ასეთ დროს, სამოქალაქო პირებისთვის მიყენებული ზიანი შესაძლოა იმით იყოს განპირობებული, რომ სამიზნის ამორჩევა შეცდომით მოხდა ან თავდასხმა განხორციელდა კანონიერი სამიზნის წინააღმდეგ, თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ეს ზიანი განზრახული არ ყოფილა, შეუძლებელი იყო ამგვარი თანმდევი შედეგის თავიდან აცილება. პროპორციულობის პრინციპის თანახმად, ასეთი თანმდევი მსხვერპლი და ზიანი მხოლოდ მაშინ იქნება შესაბამისობაში სახელშეკრულებო და ჩვეულებითი სამართლის ნორმებთან, თუკი ის საგრძნობლად არ აღემატება ასეთი თავდასხმის შედეგად მოსალოდნელ კონკრეტულ და უშუალო სამხედრო უპირატესობას.⁵

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კანონიერი თავდასხმის შემთხვევებშიც კი აუცილებელია, რომ სიფრთხილის ზომები მიიღოს არა მხოლოდ თავდასხმის განმახორციელებელმა მხარემ, არამედ მოწინააღმდეგე მხარემაც, რომელიც თავს იცავს შეიარაღებული თავდასხმისგან, რათა თავიდან აიცილოს (ან შეამციროს მაინც) შეიარაღებული თავდასხმის თანმდევი ზიანი, რომელიც შესაძლოა მიადგეს სამოქალაქო პირებს, სამოქალაქო მოსახლეობას ან სამოქალაქო ობიექტებს. ამ სტატიაში ყურადღება შეიარაღებული მხარეების მიერ სიფრთხილის ზომების მიღების ვალდებულების შინაარსზე იქნება გამახვილებული; განხილული იქნება როგორც იერიშის, ისე მისი შედეგების მიმართ მოქმედი სიფრთხილის ზომები, როგორც ამას ჟენევის კონვენციების I დამატებითი ოქმი ითვალისწინებს.⁶ ამ სტატიის მიზანი იმ ფაქტის დემონსტრირებაა, რომ ეს წესები მხოლოდ

¹ ამ წესის თანახმად, დაუშვებელია სამოქალაქო პირებსა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის სპეციალური დაცვით მოსარგებლე სხვა პირებზე თავდასხმა. თუმცა, გამონაკლის შემთხვევებში სამართლებრივი დაცვით სარგებლობის უფლება შესაძლოა დროებით შეჩერდეს.

² კერძოდ, იხილეთ ჟენევის კონვენციების I დამატებითი ოქმის 51(2) და 52(2) მუხლები.

³ ჟენევის კონვენციების I დამატებითი ოქმის 54(4) მუხლი.

⁴ 'თანმდევი მსხვერპლისა' და 'თანმდევი ზიანის' ცნება განმარტებულია საზღვაო შეიარაღებული კონფლიქტების დროს მოქმედი საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის შესახებ სან რემოს სახელმძღვანელო პრინციპების მე-13(c) მუხლში, რომლის მიხედვითაც: 'თანმდევი ზიანად' ჩაითვლება 'სამოქალაქო პირების ან დაცვით მოსარგებლე სხვა პირების სიცოცხლის მოსპობა ან მათი ჯანმრთელობის დაზიანება და ბუნებრივი გარემოსა და არასამხედრო ხასიათის ობიექტების განადგურება'.

⁵ ჟენევის კონვენციების I დამატებითი ოქმის 51(5)(b) მუხლის თანახმად, პროპორციულობის პრინციპი სიფრთხილის ზომების მიღებაზე მეტს მოითხოვს. თუმცა, ჟენევის კონვენციების I დამატებითი ოქმის 57(2)(a)(ii) მუხლის თანახმად, ასეთ დროს სიფრთხილის ზომების მიღების ვალდებულებაც მნიშვნელოვან როლს თამაშობს. პროპორციულობის პრინციპი დეტალურად ამ სტატიათა კრებულის სხვა თავშია განხილული (Enzo Cannizzaro, 'Contextualising proportionality: *ius ad bellum* and *ius in bello* in the Lebanese war', pp.779-792); ამრიგად, ამ საკითხს აქ მეტად აღარ განვაგრძობთ.

⁶ ჟენევის კონვენციების I დამატებითი ოქმის მოქმედების ფარგლების (რომელსაც 49(3) მუხლი აკონკრეტებს) შესაბამისად, ამ სტატიაში ყურადღება მხოლოდ ხმელეთზე მყოფი სამოქალაქო პირებისა და ობიექტების დაცვაზე იქნება გამახვილებული. შესაბამისად, აქ არ განვიხილავთ საზღვაო ან საჰაერო შეიარაღებული კონფლიქტების დროს გასათვალისწინებელ სიფრთხილის ზომებს. ამ საკითხზე, ჟენევის კონვენციების I დამატებითი ოქმის 57(4) მუხლი მხოლოდ იმას აღნიშნავს, რომ 'საზღვაო ან საჰაერო სამხედრო იერიშების განხორციელებისას შეიარაღებული კონფლიქტის ყველა მხარემ ... უნდა მიიღოს ყველა შესაძლო სიფრთხილის ზომა, რათა თავიდან აიცილოს სამოქალაქო მსხვერპლი და სამოქალაქო ობიექტების დაზიანება'.

სასურველი პრაქტიკის წამახალისებელ უმნიშვნელო ნორმებს არ წარმოადგენენ. ისინი შესასრულებლად სავალდებულო ხასიათის სტანდარტებია, რომელთა დარღვევაც შეარადებული კონფლიქტის მხარეების საერთაშორისო პასუხისმგებლობას იწვევს.

იერიშის განხორციელების დროს გასათვალისწინებელი სიფრთხილის ზომები

გარდაუვალი თავდასხმის შესახებ მოსახლეობის გაფრთხილების (რათა სამოქალაქო მოსახლეობას ჰქონდეს ევაკუაციის შესაძლებლობა) ვალდებულებას შეიარადებული კონფლიქტების დროს მოქმედი სამართლის ადრეული ხელშეკრულებებიც ითვალისწინებდა. თუმცა, იერიშის განხორციელების დროს გამოსაყენებელი სიფრთხილის ზომები შედარებით გვიან ჩამოყალიბდა.⁷ რეალურად, ჟენევის კონვენციების I დამატებითი ოქმის მიღებამდე, დოქტრინა, რომლის თანახმადაც იერიშის განხორციელებისას მეთაურს სიფრთხილის ზომების მიღება ევალდებოდა, 1899 და 1907 წლის ჰააგის კონვენციებისა და 1949 წლის ჟენევის კონვენციების ფართო ინტერპრეტაციასა და საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმებს ემყარებოდა. შესაბამისად, დელეგატებმა, რომლებიც შეიარადებული კონფლიქტების დროს მოქმედი საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის როლის აღიარებისა და განვითარების შესახებ 1974-1977 წლების დიპლომატიურ კონფერენციას ესწრებოდნენ, შეიუმუშავეს თავდასხმის განხორციელების დროს გამოსაყენებელი სიფრთხილის ზომების ჩამონათვალი და ამრიგად, ფასდაუდებელი წვლილი შეიტანეს საბრძოლო მოქმედებების შესახებ წესების განვითარებაში.

საერთაშორისო ხასიათის შეიარადებულ კონფლიქტებში თავდასხმის განხორციელებისას მისაღები სიფრთხილის ზომების სამართლებრივ რეჟიმს ჟენევის კონვენციების I დამატებითი ოქმის 57-ე მუხლი ითვალისწინებს. ეს მუხლი არ არის ერთადერთი სახელშეკრულებო ნორმა, რომელიც თავდასხმის განმახორციელებელ მხარეს იერიშის განხორციელებისას სიფრთხილის ზომების მიღების ვალდებულებას აკისრებს. ამ მოთხოვნას ცალკეული იარადების გამოყენების შესახებ ხელშეკრულებებშიც ითვალისწინებენ; თუმცა, ეს დოკუმენტები მხოლოდ ცალკეული იარადების გამოყენების შემთხვევებისთვის აკონკრეტებენ ჟენევის კონვენციების I დამატებითი ოქმით გათვალისწინებულ წესებს. თავდასხმის განხორციელებისას მისაღები სიფრთხილის ზომების ჩამონათვალის უპირველესი წყარო სწორედ ჟენევის კონვენციების I დამატებითი ოქმის 57-ე მუხლია (თუმცა, ამ მუხლის ჩამონათვალი ამომწურავი არ არის). ქვემოთ განხილული იქნება სიფრთხილის ზომები და მათი გამოყენების ვალდებულება ისეთ შემთხვევებში, როდესაც ეს 'პრაქტიკულად შესაძლებელია'.

თავდასხმის განმახორციელებელ მხარეზე დაკისრებული სიფრთხილის ზომების ჩამონათვალი

ჟენევის კონვენციების I დამატებითი ოქმის 57-ე მუხლი:

1. საომარი მოქმედებების წარმოებისას მხარეებმა მუდმივად უნდა იზრუნონ სამოქალაქო მოსახლეობის, სამოქალაქო პირებისა და ობიექტების დასაზღვრებად.

საერთაშორისო ჩვეულებითი ჰუმანიტარული სამართალი სიფრთხილის ზომებთან დაკავშირებით უფრო დეტალურ ვალდებულებებს მოიცავს. თუმცა, ეს საკითხი ამ სტატიაში არ იქნება განხილული.

⁷ სამთავრობო ექსპერტების 1971 წლის კონფერენციაზე მომზადებულ ანგარიშში წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი აღნიშნავს, რომ იერიშის განხორციელებისას სიფრთხილის ზომების მიღების ვალდებულებაზე 'ავტორები თავიანთ ნაშრომებში ხშირად წერენ, თუმცა ეს წესები ამ დროისთვის მოქმედ საერთაშორისო სამართლის დებულებებში მკაფიოდ არ არის გათვალისწინებული'.

2. თავდასხმებთან მიმართებაში მიღებული უნდა იყოს სიფრთხილის შემდეგი ზომები:

(ა) პირი, რომელიც თავდასხმას გეგმავს ან მისი განხორციელების გადაწყვეტილებას იღებს:

(i) ყველაფერს აკეთებს პრაქტიკული შესაძლებლობის ფარგლებში, რათა დარწმუნდეს, რომ თავდასხმის ობიექტი არ არის არც სამოქალაქო პირი, არც სამოქალაქო ან განსაკუთრებული დაცვის ქვეშ მყოფი ობიექტი, არამედ 52-ე მუხლის მე-2 პარაგრაფის მნიშვნელობით სამხედრო სამიზნეა და რომ წინამდებარე ოქმის დებულებების შესაბამისად, მასზე თავდასხმა არ არის აკრძალული;

(ii) თავდასხმის განხორციელების საშუალებებისა და მეთოდების შერჩევას სიფრთხილის ყველა პრაქტიკულად შესაძლებელ ზომას იღებს, რათა თავიდან აიცილოს შემთხვევითი მსხვერპლი სამოქალაქო მოსახლეობაში, სამოქალაქო პირთა შემთხვევითი დაჭრა და სამოქალაქო ობიექტების შემთხვევითი დაზიანება და, ნებისმიერ შემთხვევაში, მინიმუმამდე დაიყვანოს ასეთი ფაქტები;

(iii) თავს იკავებს თავდასხმის განხორციელების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისაგან, რომელიც, გამოიწვევს შემთხვევით მსხვერპლს სამოქალაქო მოსახლეობაში და სამოქალაქო პირთა შემთხვევით დაჭრას, სამოქალაქო ობიექტების შემთხვევით დაზიანებას ან ერთსაც და მეორესაც, რაც ბევრად აღემატება ნავარაუდებ კონკრეტულ და უშუალო საომარ უპირატესობას.

(ბ) თავდასხმა უქმდება ან ჩერდება, თუ გაირკვა, რომ თავდასხმის ობიექტი არ არის სამხედრო ხასიათის, განსაკუთრებული დაცვით სარგებლობს ან თუ მოსალოდნელია, რომ თავდასხმა გამოიწვევს შემთხვევით მსხვერპლს და დაჭრას სამოქალაქო მოსახლეობაში, სამოქალაქო ობიექტების შემთხვევით დაზიანებას ან ერთსაც და მეორესაც, რაც ბევრად აღემატება ნავარაუდებ კონკრეტულ და უშუალო საომარ უპირატესობას;

(გ) ისეთი მოსალოდნელი თავდასხმების შესახებ, რომელიც სამოქალაქო მოსახლეობას შეიძლება შეეხო, წინასწარი ქმედითი გაფრთხილება უნდა გაკეთდეს, იმ შემთხვევების გამოკლებით, როცა გარემოება არ იძლევა ამის შესაძლებლობას.

3. როცა თანაბარი სამხედრო უპირატესობის მოპოვებისათვის რამდენიმე სამხედრო ობიექტს შორის არჩევანია შესაძლებელი, არჩევანი იმ ობიექტზე უნდა შეჩერდეს, რომელზეც თავდასხმაც სამოქალაქო პირებსა და ობიექტებს მინიმალურ საფრთხეს შეუქმნის.

საომარი მოქმედებების წარმოებისას სამოქალაქო მოსახლეობის, სამოქალაქო პირებისა და სამოქალაქო ობიექტების დასაზღვრად გამუდმებით ზრუნვის ვალდებულება

საომარი მოქმედებების წარმოებისას სამხედრო იერიშისგან სამოქალაქო მოსახლეობის, ცალკეული სამოქალაქო პირებისა და სამოქალაქო ობიექტების დანდობის მიზნით მუდმივი ზრუნვის ვალდებულება განსხვავების ფუნდამენტური პრინციპიდან გამომდინარეობს. თუმცა, ეს ვალდებულება კვლავ საკმაოდ ზოგადი და მრავლისმომცველია; სწორედ ამიტომაც არის გაწერილი ჟენევის კონვენციების I დამატებითი ოქმის 57-ე მუხლის პირველ პარაგრაფში. ჟენევის კონვენციების I დამატებითი ოქმის წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის მიერ მომზადებული კომენტარის

მიხედვით, ამ დებულების მომდევნო პარაგრაფები მიზნად ისახავს 'ამ ზოგადი პრინციპის პრაქტიკული გამოყენების უზრუნველყოფას'.⁸ შესაბამისად, პირველ პარაგრაფში გათვალისწინებული ვალდებულება განსხვავების ძირითად პრინციპისა და იერიშის მიტანის დროს მისაღები სიფრთხილის ზომების პრაქტიკული ასპექტების სამართლებრივ კავშირს წარმოადგენს.

თავად ის ფაქტი, რომ ეს წესი ქენევის კონვენციების I დამატებითი ოქმის 57-ე მუხლის ერთგვარ პრეამბულას წარმოადგენს, ზედმეტად ზოგადი ფორმულირების გამო ხშირად მიიჩნევა, რომ ის მხოლოდ შეიარაღებული კონფლიქტის მხარეების შთაგონებასა და წახალისებას ემსახურება. არსებობს მოსაზრებაც, რომ იმისთვის სამართლებრივი ძალა მიეცეს, ეს ვალდებულება მომდევნო პარაგრაფებში გაწერილი ერთ ან მეტ კონკრეტულ წესთან ერთად უნდა გამოიყენებოდეს. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ქენევის კონვენციების I დამატებითი ოქმის 57-ე მუხლის პირველ პარაგრაფსა და მომდევნო პარაგრაფებში გათვალისწინებულ ვალდებულებებს შორის სამართლებრივი კავშირი მართლაც არსებობს, ეს ფაქტი გავლენას არ ახდენს პირველი პარაგრაფით გათვალისწინებული ვალდებულების დამოუკიდებელ სამართლებრივ ძალაზე. კავშირი აუცილებლად ურთიერთდამოკიდებულებას არ გულისხმობს და 57-ე მუხლის 1-ლი პარაგრაფი მხოლოდ შთამაგონებელი დატვირთვის მქონე სტანდარტულ დებულებად არ უნდა იქნეს აღქმული.

ქენევის კონვენციების I დამატებითი ოქმის 57-ე მუხლის დეტალური ანალიზი ცხადყოფს რომ 1-ლი პარაგრაფით გათვალისწინებული ვალდებულება მომდევნო პარაგრაფებში გაწერილ ვალდებულებებზე გაცილებით უფრო ფართოა. ამ დებულების პირველი წინადადებაიდან ნათლად ჩანს, რომ მე-2 პარაგრაფი გამოიყენება 'თავდასხმის' შემთხვევაში,⁹ რაც, თავის მხრივ, მოწინააღმდეგე მხარის წინააღმდეგ მიმართულ ძალადობრივი ხასიათის ქმედებებს გულისხმობს. პირველი პარაგრაფი უფრო ზოგადი ხასიათისაა და ვრცელდება 'საომარ მოქმედებებზე', რომელიც მოიცავს შეიარაღებული კონფლიქტის მხარის ჯარის გადაადგილებას, მანევრირებას და განლაგების ან უკან დახევის სხვა ფორმებს, რომლებსაც შეიარაღებულ ძალები უძუალოდ ბრძოლის დაწყებამდე ახორციელებენ.¹⁰ ამ დებულების უფრო ფართო ინტერპრეტაცია საკმაოდ ლოგიკურად გულისხმობს, რომ ეს დებულება დამოუკიდებლად აწესებს კონკრეტულ სამართლებრივ მოთხოვნებს.

იდენტიფიცირებული სამიზნის სამხედრო ხასიათში დარწმუნებისა და თანმდევი ზიანის შეფასების ვალდებულება

ქენევის კონვენციების I დამატებითი ოქმის 57(2)(a)(i) მუხლით გათვალისწინებული ვალდებულება მიუთითებს როგორც სამხედრო ეფექტურობის, ისე - ჰუმანიტარული აუცილებლობის მოთხოვნებზე. ამ დებულების მიხედვით, პირი, რომელიც თავდასხმას გეგმავს ან მისი

⁸ ქენევის კონვენციების I დამატებითი ოქმის კომენტარი (გვ. 680, 2191-ე პარაგრაფი). წითელის ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის მერ მომზადებული კვლევა ჩვეულებით საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალზე, მე-15 წესი კიდევ ერთხელ ამახვილებს ყურადღებას ამ ვალდებულების მნიშვნელობაზე (მე-5 თავის პირველი წესი სწორედ თავდასხმის განხორციელებისას გასათვალისწინებელ სიფრთხილის ზომებს ეხება). 'ეს არის ზოგადი წესი, რომლის შინაარსი და ფარგლებიც 16-21 წესებში გაწერილი ვალდებულებებით არის დაკონკრეტებული' (Jean-Marie Henckaerts and Louise Doswald-Beck, *Customary International Humanitarian Law*, ICRC, Cambridge University Press, Cambridge, 2005, Vol. I (Rules), გვ. 51).

⁹ ანალოგიის წესით იგივე მიდგომა გავრცელდება ამ მუხლის მესამე პარაგრაფზეც, რომელიც მხოლოდ თავდასხმის კონტექსტში შეიძლება გამოიყენებოდეს.

¹⁰ 'ტერმინი 'საომარი მოქმედებები' უნდა განიმარტოს, როგორც ნებისმიერი გადაადგილება, მანევრირება ან ნებისმიერი სხვა ქმედება, რომელსაც შეიარაღებული ძალები საბრძოლო მოქმედებების ფარგლებში ახორციელებენ'; ქენევის კონვენციების I დამატებითი ოქმის კომენტარი (გვ. 680, 2191-ე პარაგრაფი). ასეთი მიდგომა შესაძლოა აფართოებდეს 57-ე მუხლის მნიშვნელობას, რომელიც ამ მუხლის სათაურზე დაყრდნობით მხოლოდ თავდასხმის განხორციელებისას მისაღებ სიფრთხილის ზომებზე უნდა ვრცელდებოდეს. თუმცა, ასეთი კრიტიკული დამოკიდებულება გავლენას არ ახდენს იმ ფაქტზე, რომ პირველი პარაგრაფის უშუალო მიზანი განსხვავების პრინციპსა და თავდასხმის დროს მისაღებ სიფრთხილის ზომებს შორის კავშირის დამყარებაა.

განხორციელების გადაწყვეტილებას იღებს, ყველაფერს აკეთებს პრაქტიკული შესაძლებლობის ფარგლებში, რათა დარწმუნდეს სამიზნის ხასიათში. ამ დებულების მიზანია უზრუნველყოს, რომ სამხედრო ოპერაცია სამხედრო სამიზნის წინააღმდეგ იქნება მიმართული და სამოქალაქო მოსახლეობა და სამოქალაქო ობიექტები დაცულნი იქნებიან იერიშისაგან. მაშასადამე, სამიზნის ხასიათის გადამოწმების ვალდებულება განსხვავების პრინციპის ფუნდამენტურ ასპექტზე ამახვილებს ყურადღებას. აქედან გამომდინარე, ჟენევის კონვენციების I დამატებითი ოქმის პროექტზე მუშაობის დროს ოფიციალურ მოლაპარაკებებზე დაფიქსირებული პოზიციებისგან საპირისპიროდ, არასწორი იქნება იმის მტკიცება, რომ ამგვარი ინტერპრეტაცია ახლებური მიდგომის¹¹ ან ახალი წესის ჩამოყალიბების შედეგია. ეჭვგარეშეა, რომ ეს დებულება ჟენევის კონვენციების I დამატებითი ოქმის შექმნამდე არსებული წესის კოდიფიკაციას წარმოადგენს.

განსახორციელებელი თავდასხმის ობიექტის ხასიათში დარწმუნების ვალდებულება გულისხმობს პოტენციური სამიზნის შესახებ ინფორმაციის შეგროვებას, შეფასებასა და სამხედრო ოპერაციაში მონაწილე სხვა პირებისთვის სწრაფად გადაცემას.¹² ამ მოთხოვნების შესრულება დამოკიდებული იქნება შეიარაღებული კონფლიქტის მხარეების ხელთ არსებულ ტექნოლოგიურ რესურსებზე და მათ ხარისხზე. ცხადია, ჟენევის კონვენციების I დამატებითი ოქმის 57(2)(a)(i) მუხლით გავალისწინებული ვალდებულება ისე არ უნდა განიმარტოს, თითქოს შეიარაღებული კონფლიქტის მხარეებს თანმედროვე, დახვეწილი და მაღალი აღქმის სისტემებით აღჭურვილი საშუალებების ქონა მოეთხოვებათ. თუმცა, მხარეები ვალდებულნი არიან ყველა შემთხვევაში გამოიყენონ მათ ხელთ არსებული ყველაზე ეფექტური და სათანადო აღქმის სისტემებით აღჭურვილი საშუალებები, რათა თავდასხმის განხორციელებამდე მოიპოვონ უტყუარი ინფორმაცია. ამრიგად, იერიში მხოლოდ მას შემდეგ უნდა განხორციელდეს, თუკი მეთაური მის ხელთ არსებული ინფორმაციაზე დაყრდნობით დარწმუნებულია, რომ სამიზნე სამხედრო ხასიათისაა.

სხვაგვარად რომ ითქვას, ეს დებულება შეიარაღებული კონფლიქტის მხარეებს არ ავალდებულებს, რომ თავდასხმის შედეგად დამდგარი შედეგი კანონიერი იყოს;¹³ თუმცა, ამ მუხლში გათვალისწინებული მოთხოვნების თანახმად, ეჭვის არსებობის შემთხვევაში იერიშის განხორციელებამდე უნდა მოხდეს დამატებითი ინფორმაციის მოპოვება.¹⁴ შესაბამისად, ისეთი სამიზნეების დაბომბვა, რომელთა სამხედრო ხასიათთან დაკავშირებითაც გარკვეული ეჭვები არსებობს, *ipso facto* განსხვავების პრინციპის დარღვევად ჩაითვლება.¹⁵ მაგალითად, არაერთხელ აღინიშნა, რომ 2003 წელს ერაყის ომის დროს ამერიკის შეერთებულმა შტატების შეიარაღებულმა ძალებმა იერიში მიიტანა მოწინააღმდეგე მხარის მაღალი თანამდებობის პირებზე, მიუხედავად

¹¹ აღნიშნულ საკითხზე დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ჟენევის კონვენციების I დამატებითი ოქმის წითელი ჯგრის საერთაშორისო კომიტეტის მიერ მომზადებული კომენტარები; ავტორი ეთანხმება ზოგად მიდგომას, რომ სამიზნის იდენტიფიცირების მოთხოვნა 'ახალი' ვალდებულებაა (გვ. 680, 2194-ე პარაგრაფი).

¹² ჟენევის კონვენციების I დამატებითი ოქმის 57(2)(a)(i) მუხლის თანახმად, სამიზნის ხასიათის გადამოწმება თავდასხმის დაგეგმვის ან იერიშის განხორციელების შესახებ გადაწყვეტილების მიღების ეტაპზე უნდა მოხდეს. მიუხედავად ამისა, თუკი ინფორმაციის გადამოწმებასა და თავდასხმას შორის გარკვეული დრო გავიდა, მაშინ შეიარაღებული კონფლიქტის მხარე ვალდებულია კიდევ ერთხელ გადაამოწმოს ინფორმაცია და დარწმუნდეს, რომ მოცემულ დროს პეროდში მომხდარი ცვლილებების მიუხედავად სამიზნის ხასიათი არ შეცვლილა (Jorge J. Urbina, *Derecho internacional humanitario*, La Coruna, 2000, გვ. 241).

¹³ Yoram Dinstein, *Conduct of Hostilities under the Law of International Armed Conflict*, Cambridge University Press, Cambridge, 2004, 'განსახორციელებელი თავდასხმის სამიზნის სამხედრო ხასიათის დადგენის პროცესში ალბათ შეუძლებელია აბსოლუტური სიზუსტის დაცვა; თუმცა, მხარეებს მაინც ეკისრებათ გულისხმიერებისა და კუთლისინდისიერების პრინციპების დაცვით მოქმედების ვალდებულება'.

¹⁴ ჟენევის კონვენციების I დამატებითი ოქმის კომენტარები (გვ. 680, 2195-ე პარაგრაფი). ეს ვალდებულება ჟენევის კონვენციების I დამატებითი ოქმის 50(1) და 52(3) მუხლებთან ერთად უნდა განიმარტოს. ამ მუხლების თანახმად, სამიზნის ხასიათთან დაკავშირებით გარკვეული ეჭვების არსებობის შემთხვევაში უნდა ჩაითვალოს, რომ ობიექტი სამოქალაქო ხასიათისაა.

¹⁵ არსებობს მოსაზრებაც, რომ ასეთი ქმედება ომის დანაშაულია, რადგან არასაკმარისი ინფორმაციის ქონა მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ გარემოებად ვერ ჩაითვლება. (Stefan Oeter, 'Methods and means of combat' გამოცემაში Dieter Fleck (ed.), *Handbook of Humanitarian Law in Armed Conflicts*, Oxford University Press, Oxford, 1995, გვ. 475).

იმისა, რომ მათზე საკმარის ინფორმაციას არ ფლობდა. ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლები თავდასხმის გადაწყვეტილებას იმ გარემოებებით ამართლებდნენ, რომ მათ ხელთ არსებული მტკიცებულებების საფუძველზე შესაძლებელი იყო ვარაუდი, რომ განსახორციელებელი თავდასხმის სამიზნედ ამორჩეულ შენობაში მაღალი პოლიტიკური ან სამხედრო თანამდებობის პირები იმყოფებოდნენ. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ასეთი მიდგომა არ შეესაბამება განსხვავების ფუნდამენტურ მოთხოვნას: თუკი იერიში კონკრეტულ პირზე ხორციელდება, მაშინ მისი კანონიერ სამხედრო სამიზნედ იდენტიფიცირება მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, თუკი შეიარაღებული კონფლიქტის მხარე ფლობს ზუსტ ინფორმაციას ამ პირის ვინაობასა და მის ფუნქციაზე.¹⁶

ამასთან, შეიარაღებული კონფლიქტის მხარემ ინფორმაცია მხოლოდ სამიზნის სამხედრო ხასიათის დადგენის მიზნით არ უნდა მოიძიოს. აუცილებელია სხვა დეტალების დაზუსტებაც, განსაკუთრებით სამიზნის მიმდებარე ტერიტორიასთან დაკავშირებით. აღნიშნული ინფორმაცია შეიარაღებული კონფლიქტის მხარეს შესაძლებლობას აძლევს დაინახოს მთლიანი სურათი და შექმნილი ვითარების გათვალისწინებით დაიცვას პროპორციულობის პრინციპის მოთხოვნები. ასეთ დროს მთავარ სირთულეს 'შემდგომში გამოაშკარავებული სამიზნე' წარმოადგენს. ეს ობიექტები შეიარაღებული კონფლიქტის მხარეს ოპერაციის წინასწარი დაგეგმვის ეტაპზე არ გაუთვალისწინებია. შესაბამისად, მათი მოულოდნელად გამოჩენის გამო შეიარაღებული კონფლიქტის მხარე ცალკეულ შემთხვევებში იძულებული იქნება იერიში დროის ძალიან მოკლე პერიოდში გააუქმოს. შესაბამისად, თავდასხმის განმახორციელებელ მხარეს რთული პროცედურების დაცვით მოქმედების შესაძლებლობა არ აქვს. ასეთ შემთხვევებში აუცილებელი იქნება წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით მოხდეს ობიექტის სამხედრო ხასიათისა და იერიშის თანმდევი ზიანის დაჩქარებული ანალიზი.¹⁷ თუმცა, ცხადია, დაჩქარებული პროცედურები პრაქტიკულად შესაძლებელი სიფრთხილის ზომების მიღების შესაძლებლობას უნდა იძლეოდეს. 2003 წლის ერაყის კონფლიქტის დროს ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლები აღნიშნავდნენ, რომ წინასწარ დაგეგმილი ოპერაციების ფარგლებში იდენტიფიცირებული სამიზნეების შემთხვევებში თანმდევი ზიანის შეფასება საკმაოდ წარმატებული იყო; თუმცა, 'შემდგომში გამოაშკარავებულ სამიზნეების' კუთხით გარკვეული სირთულეები არსებობდა. ასეთ შემთხვევებში, სამიზნის სათანადო სიზუსტით შეფასებისთვის საკმარისი დრო არ იყო, რაც ხშირ შემთხვევებში არაპროპორციულ დაბომბვებს იწვევდა.¹⁸

¹⁶ Human Rights Watch: 'Off Target: The Conduct of the War and Civilian Casualties in Iraq', New York, 2003, გვ. 23, 38. ამასთან, მოწინააღმდეგე მხარის ლიდერების ადგილსამყოფელის დასადგენად ამერიკის შეერთებული შტატები სატელიტური ტელეფონების დეკოდირების სისტემებს იყენებდა. გარკვეული ეჭვები ასეთი იდენტიფიცირების საშუალებების სანდოობასთან დაკავშირებითაც გამოითქვა: სატელეფონო საშუალებების მდებარეობა მისი მფლობელის ადგილსამყოფელს ყოველთვის არ ემთხვევა. შესაძლებელი იყო, რომ პირს შეეცვალა ტელეფონი. ეჭვებს ის ფაქტიც ამყარებდა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების წარმომადგენლები არ აკონკრეტებდნენ, თუ რა ფორმით ხდებოდა ინფორმაციის გადამოწმება, რომ პირი, რომელიც სატელეფონო საშუალებას იყენებდა, ნამდვილად განსახორციელებელი თავდასხმის სამიზნეს წარმოადგენდა. თუმცა, შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ გამოიყენებოდა სპეციალური მონაცემთა ბაზა, რომელიც ახდენდა სამიზნის ხმის განსახორციელებელი თავდასხმის ობიექტის ხმასთან შედარებას. ამასთან, შეგროვილი ელექტრონული მონაცემების სიზუსტეში დარწმუნების მიზნით ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების წევრები სხვა პირებისგან მოპოვებულ ინფორმაციასაც იყენებდნენ. თუკი ეს ტექნოლოგიები ნამდვილად სანდო იყო, მაშინ, შესაძლებელია ითქვას, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა შეასრულა ინფორმაციის გადამოწმების მოთხოვნა. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ ტექნოლოგიების სანდოობა დიდ კითხვის ნიშნებს აჩენს (ibid., გვ. 25).

¹⁷ Human Rights Watch (ibid., გვ. 20), ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ერაყის ოპერაციის (2003) დროს გამოკვეთილი პრაქტიკაზე დაყრდნობით არსებობს ორი განსხვავებული მიდგომაზე: თუკი შეიარაღებული ძალების წევრებს აქვთ სამიზნის შესწავლის დრო, მაშინ გამოიყენება საკმაოდ ფრთხილი და კომპლექსური პროცედურა. თუმცა, თუკი გადაწყვეტილება სწრაფად უნდა იქნეს მიღებული, მაშინ სპეციალური დაჩქარებული პროცედურები გამოიყენება.

¹⁸ Ibid., გვ. 20.

ეს მაგალითები ცხადყოფს, რომ სამიზნის იდენტიფიცირება (განსაკუთრებით მაშინ, თუკი ის შორს არის) და იერიშის თანმდევი ზიანის შეფასება საკმაოდ რთული პროცესია და ბევრი მეთოდის ერთდროულად გამოყენებას მოითხოვს. პირები, რომლებიც სამხედრო თავდასხმის დაგეგმვაში მონაწილეობენ ან იერიშის განხორციელებაზე იღებენ გადაწყვეტილებას, ამას, უმეტეს შემთხვევაში, სადაზვერვო ან აღქმის სხვადასხვა (ადმიანური, საჰაერო და სატელიტური ან სხვა) სისტემების გამოყენების შედეგად მოპოვებული არაპირდაპირი ინფორმაციის საფუძველზე აკეთებენ. ამრიგად, მიღებული გადაწყვეტილების კანონიერება ამ პროცესებში ჩართული პირების პასუხისმგებლობის საკითხთანაც არის კავშირში. მაგალითად, სადაზვერვო სამსახურის წევრებს პასუხისმგებლობა დაეკისრებათ, თუკი მათ მიერ მოპოვებული ინფორმაცია სანდო არ არის ან თუ ის შეცდომაში შეიყვანს თავდასხმის განმახორციელებელ პირს. მიუხედავად იმისა, რომ პირებს, რომლებიც სამხედრო თავდასხმის დაგეგმვაში მონაწილეობენ ან გადაწყვეტილებას იღებენ მის განხორციელებაზე, სამიზნის ხასიათზე უშუალო ინფორმაცია ვერ ექნებათ, მათ მაინც დაეკისრებათ პასუხისმგებლობა, თუკი სადაზვერვო ოპერაციების შედეგად მოპოვებული სანდო ინფორმაციის ქონის მიუხედავად, თავიანთი არაპროფესიონალიზმის, გულგრილობის ან ბოროტი განზრახვის გამო არასწორ გადაწყვეტილებას მიიღებენ.

და ბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ მეთაური, რომელიც ცდილობს მოიპოვოს სანდო ინფორმაცია, შესაძლებელია შეცდომაში შეიყვანოს მოწინააღმდეგე მხარის მიერ გამოყენებულმა ხრიკებმა, თუკი ამ უკანასკნელს იერიში მიაქვს არასწორ სამიზნეზე ან სხვაგვარად უზნევს გზას მოწინააღმდეგე მხარის სადაზვერვო სამსახურებს. ასეთი ხრიკების ცნობილი მაგალითია 1999 წელს ყოფილი იუგოსლავიის ფედერაციული რესპუბლიკის მიერ ჩრდილო ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის (NATO) მიერ განხორციელებული დაბომბვების დროს გამოყენებული მეთოდები. ობიექტის ხასიათთან დაკავშირებით მოწინააღმდეგე მხარის შეცდომაში შეყვანის მიზნით გამოყენებული ხრიკები კანონიერი იქნება, თუკი ისინი არ უზიბებენ მოწინააღმდეგე მხარის სამხედრო მეთაურს, რომ თავდასხმა განახორციელოს სამოქალაქო პირებზე ან ობიექტებზე იმის რწმენით, რომ იერიში სამხედრო სამიზნეზე მიაქვს.¹⁹

სამხედრო იერიშის განსახორციელებლად ისეთი მეთოდებისა და საშუალებების არჩევის ვალდებულება, რომელთა გამოყენებაც შესაძლებელს გახდის სამოქალაქო მოსახლეობისა და სამოქალაქო ობიექტებისთვის მიყენებული ზიანის თავიდან აცილებას ან შემცირებას

ისეთი მეთოდებისა და საშუალებების არჩევის ვალდებულება, რომელთა გამოყენებაც შესაძლებელს გახდის სამოქალაქო მოსახლეობისა და სამოქალაქო ობიექტებისთვის მიყენებული ზიანისა თუ ზარალის თავიდან აცილებას ან შემცირებას, დიპლომატიურ პრაქტიკაშიც ფართოდ არის გავრცელებული.²⁰ ძირითად სირთულეს ამ შემთხვევაშიც ვალდებულების პრაქტიკული ასპექტების იდენტიფიცირება წარმოადგენს. ჟენევის კონვენციების I დამატებითი ოქმის კომენტარების მიხედვით, ეს მოთხოვნა ავალდებულებს მხარეებს, რომ შეძლებისდაგვარად უზრუნველყონ სამოქალაქო პირებით დასახლებულ პუნქტებში განლაგებული სამხედრო სამიზნის წინააღმდეგ

¹⁹ მაგალითად, მეორე მსოფლიო ომის დროს დიდი ბრიტანეთის ძალებმა, რომლებიც მათ ტერიტორიაზე მყოფ გერმანელ ჯაშუშებზე სრულ კონტროლს ახორციელებდნენ, განგებ გაგზავნეს არასწორი ინფორმაცია, რის შედეგადაც გერმანიის საჰაერო ძალებმა დაბომბეს ინგლისური ქალაქების სამოქალაქო პირებით დასახლებული ზონები. გერმანიის საჰაერო ძალების ხელთ არსებული ინფორმაციის თანახმად დაბომბილი ობიექტები სამხედრო ხასიათის იყო. იხილეთ: Burrus Carnahan, 'The law of air bombardment in its historical context', *Air Force Law Review*, Vol 17(2), გვ. 60. ზოგიერთი ავტორის მოსაზრებით ასეთი შემთხვევა ჟენევის კონვენციების I დამატებითი ოქმის 57(7) მუხლის დარღვევად ჩაითვლებოდა (Michael Bothe et al., *New Rules for Victims of Armed Conflicts*, Martinus Nijhoff, The Hague, 1982, გვ. 363, 2.5-ე პარაგრაფი).

²⁰ ასეთი პრაქტიკის დეტალური ანალიზისთვის იხილეთ: Henckaerts and Doswald-Beck, იხილეთ მე-8 სქოლიო, Vol. II (Practice), Part I, გვ. 374-84.

განხორციელებული დაბომბვების სიზუსტე.²¹ ასეთი ინტერპრეტაცია ზედმეტად ავიწროებს ამ ვალდებულების მნიშვნელობას. პირველ რიგში, ამ დებულების *ratione loci* მოქმედების სფეროს სამოქალაქო პირებით დასახლებულ პუნქტებზე შეზღუდვა არ გამომდინარეობს არც ჟენევის კონვენციების I დამატებითი ოქმის ტექსტიდან და არც ამ დებულების პროექტის მოსამზადებელი საუშაოების დროს გამოხატული მოსახრებებიდან. მეორეს მხრივ, თავად ამ დებულების ტექტიც მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ ეს ვალდებულება გაცილებით ფართოა, ვიდრე მხოლოდ საჰაერო დაბომბვების სიზუსტის უზრუნველყოფის მოთხოვნა. ამას თავდასხმის მეთოდების ცალკეული მაგალითები თავს ადასტურებს.

პირველ რიგში, ეს დებულება გარკვეულ შეზღუდვებს აწესებს თავდასხმის განხორციელების დროსთან დაკავშირებით. ჟენევის კონვენციების I დამატებითი ოქმის წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის მიერ მომზადებული კომენტარები მიუთითებს მოკავშირეთა ძალების მიერ მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანიის შეიარაღებული ძალების მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებული ქარხნების დაბომბვების დროს გამოყენებულ სიფრთხილის ზომებზე. დაბომბვები ხორციელდებოდა ისეთ დღეებში და დროის ისეთ მონაკვეთებში, როდესაც შენობებში არავინ იმყოფებოდა. ასეთი სიფრთხილის ზომების ძირითად მიზანს ქარხნების განადგურება წარმოადგენდა და არა ამ შენობებში მომუშავე პირების ლიკვიდაცია.²² შესაძლებელია ითქვას, რომ ასეთი სიფრთხილის ზომები თანამემამულეების სიცოცხლის გადარჩენისა და მათთვის მიყენებული ზიანის თავიდან აცილებას ემსახურებოდა და არა ზოგადად სამოქალაქო მოსახლეობის დაცვას.²³ თუმცა, ეს მაგალითი მაინც კარგად წარმოაჩენს ჟენევის კონვენციების I დამატებითი ოქმის 57(2)(a)(ii) მუხლით გათვალისწინებული სიფრთხილის ზომების მნიშვნელობას. სხვაგვარად რომ ითქვას, ისეთი მეთოდების გამოყენების ვალდებულება, რომელიც შესაძლებელს გახდის სამოქალაქო მოსახლეობისა და სამოქალაქო ობიექტების გამოცალკევებას ნებისმიერ ზონაში (მათ შორის მოწინააღმდეგე მხარის ტერიტორიაზე), მოითხოვს თავდასხმისთვის ისეთი დროის შერჩევას, რომ მნიშვნელოვნად შემცირდეს იერიშის თანმდევი ზიანი. შედარებით უფრო გვიანდელი მაგალითია ამერიკის შეერთებული შტატების მიერ 2003 წელს ერაყში განხორციელებული ოპერაციები, რომლის ფარგლებშიც შეიარაღებული ძალები გამუდმებით ბომბავდნენ დასახლებულ ზონებს. სამოქალაქო მსხვერპლის შემცირების მიზნით სამხედრო იერიშები ღამით ხორციელდებოდა, როდესაც სამოქალაქო პირები ქუჩებში არ დადიოდნენ.²⁴

ეს დებულება შეზღუდვებს განსახორციელებელი თავდასხმის ადგილმდებარეობასთან დაკავშირებითაც აწესებს. შეიარაღებული კონფლიქტის მხარეებმა შეძლებისდაგვარად უნდა შეიკავონ თავი სამხედრო იერიშის დასახლებულ პუნქტებში განხორციელებისგან, თუკი ეს სამოქალაქო მოსახლეობაში მნიშვნელოვან მსხვერპლს გამოიწვევს. როდესაც კოალიციის ჯარებმა 1991 წლის სპარსეთის ყურის ომის დროს ქალაქ ქუვეითში ამფიბიური თავდასხმის გამოყენება გადაიფიქრეს, სწორედ ამ ფაქტორმა ითამაშა განმსაზღვრელი როლი. თავდაცვის დეპარტამენტის მიერ კონგრესისთვის მომზადებულ ანგარიშში აღნიშნული იყო, რომ ასეთი თავდასხმა კოალიციის ძალებს იძულებულს გახდიდა ებრძოლათ დასახლებულ პუნქტებში, რაც 'საკმაოდ ძვირადღირებული მეთოდია როგორც თავდასხმის განმახორციელებელი მხარის, ასევე მისი მეტოქისთვის და სამოქალაქო ობიექტებსა და სამოქალაქო მოსახლეობაში მნიშვნელოვან ზიანს იწვევს'.²⁵ ასეთი მეთოდის გამოყენების ნაცვლად კოალიციის ძალებმა გადაწყვიტეს შესაძლებლობა

²¹ 'ისეთი მეთოდებისა და საშუალებების შერჩევის ვალდებულება, რომლთა გამოყენებაც შესაძლებელს გახდის სამოქალაქო მოსახლეობისა და სამოქალაქო ობიექტებისთვის მიყენებული ზიანისა თუ ზარალის შემცირებას (ჟენევის კონვენციების I დამატებითი ოქმის მე-2(a)(ii) მუხლი), მიზნად ისახავს დასახლებულ პუნქტებში განთავსებული სამხედრო სამიზნეების დაბომბვისას მაქსიმალური სიზუსტის უზრუნველყოფას (Bothe et al., იხილეთ მე-19 სქოლიო, გვ. 364, 2.6-ე პარაგრაფი).

²² ჟენევის კონვენციების I დამატებითი ოქმის კომენტარები (გვ. 682, 2200-ე პარაგრაფი).

²³ ნიშანდობლივია, რომ მოკავშირეთა შეიარაღებულ ძალებს ასეთი სიფრთხილის ზომები ოკუპირებული ტერიტორიების მიღმა არ გამოუყენებიათ.

²⁴ Human Rights Watch, იხილეთ მე-16 სქოლიო, გვ. 17.

²⁵ იხილეთ: 'Department of Defense Report to Congress on the Conduct of the Persian Gulf War', ILM, 1992 (3), გვ. 662.

მიეცათ ერაყის შეიარაღებული ძალებისთვის რომ დაეტოვებინათ ქალაქი ქუვეითი და ბრძოლა დედაქალაქის ჩრდილოეთით გაუდაბნოებულ ტერიტორიებზე გაეგრძელებინათ. ამგვარი სიფრთხილის ზომები მნიშვნელოვანია თავდასხმის სამიზნედ ამორჩეული ტერიტორიებისა და შეიარაღებული ძალების მანევრებისა თუ მათი განლაგების შესახებ გადაწყვეტილების მიღების დროს.

ამავდროულად, ისეთი მეთოდის შერჩევის ვალდებულება, რომელიც შესაძლებელს გახდის სამოქალაქო მოსახლეობაში მსხვერპლისა და ზიანის თავიდან აცილებას ან მის შემცირებას, იერიშის განსახორციელებლად სათანადო კუთხის არჩევის მოთხოვნასაც მოიცავს.²⁶ მარტივი მაგალითისთვის, 1991 წელს სპარსეთის ყურის ომში მფრინავებს მისცეს მითითება რომ დასახლებულ პუნქტებში ხიდებზე იერიში გრძობი ღერძის გასწვრივ მიეტანათ. ასეთი მეთოდის გამოყენების პირობებში ბომბები, რომლებიც სამიზნეს ასცდებოდა (იმის გამო რომ ისინი საჭიროზე ადრე ან გვიან ჩამოაგდეს), მდინარეში ჩაცვივდებოდა და სამოქალაქო პირების სახლებს არ დაეცემოდა.²⁷ დაბომბვის ასეთი მეთოდი პრაქტიკაში ხშირად გამოიყენება.

რაც შეეხება ბრძოლის საშუალებების შერჩევას, ქენევის კონვენციების I დამატებითი ოქმის 57(2)(a)(ii) მუხლის თანახმად, თუკი თავდასხმა სამოქალაქო მოსახლეობაში მსხვერპლს გამოიწვევს, შეიარაღებული კონფლიქტის მხარეები ვალდებული არიან მათ ხელთ არსებული ყველაზე უფრო ზუსტი დამიზნების იარაღები გამოიყენონ (მათ შორის ზუსტი დამიზნების სპეციალური ხელსაწყოებით აღჭურვილი იარაღები). სამართლის დოქტრინაში ხშირად აღნიშნავენ, რომ ასეთი ვალდებულება არ არსებობს, რადგან შეიარაღებული თავდასხმისთვის იარაღების შერჩევის პროცესში შეიარაღებული კონფლიქტის მხარეებს სრული დისკრეცია გააჩნიათ და როგორც წესი, მათი გადაწყვეტილება სამხედრო ინტერესებითა და თითოეული ოპერაციისთვის უნიკალური გარემოებებით არის განპირობებული. მაგალითად, დანიელ ინფელდი აღნიშნავს, რომ

ომის სამართალი განსაზღვრავს კანონიერ სამიზნეს. თუმცა, საბრძოლო მოქმედებების მარეგულირებელი წესები არ აკონკრეტებს თუ რა სახის იარაღები უნდა იქნეს გამოყენებული კონკრეტულ სამიზნეზე თავდასხმის დროს. ომის სამართალში არ არსებობს კონკრეტული დებულება, რომელიც შეიარაღებული კონფლიქტის მხარეებს დაავალდებულებდა გამოიყენებინათ ცალკეული ტიპის იარაღი, რომელიც ყველაზე უკეთ უზრუნველყოფს სამოქალაქო და სამხედრო ობიექტების განსხვავებას. მოქმედი სამართალი მხოლოდ არაპირდაპირ მიუთითებს შეიარაღებული კონფლიქტის მხარის ვალდებულებაზე, რომ გაითვალისწინოს სამხედრო აუცილებლობისა და ზედმეტი ტანჯვის ფაქტორები, რათა დაიცვას პროპორციულობის პრინციპის მოთხოვნები.²⁸ იარაღების შერჩევის ვალდებულების მხოლოდ პროპორციულობის პრინციპის კრილში განხილვა მართებული არ უნდა იყოს. ქენევის კონვენციების I დამატებითი ოქმის 57(2)(a)(ii) შეიარაღებული

²⁶ Human Rights Watch, იხილეთ მე-16 სქოლიო, გვ. 17. ეს მაგალითი მოყვანილია ავსტრალიურ სამხედრო სახელმძღვანელო პრინციპებში, Australian Defence Force Manual on the Law of Armed Conflict, ADFP 37 (1994), 552-ე პარაგრაფი.

²⁷ ეს შემთხვევა განსაკუთრებით საინტერესოა, რადგან სპეციალური კუთხით განხორციელებული თავდასხმის პირობებში ზიანი მიადგება ხიდის შუა ნაწილს და მისი აღდგენა უფრო მარტივი იქნება (Michael W. Lewis, 'The law of areal bombardment in the 1991 Gulf War, Ajil, Vol. 97 (2003), გვ. 501).

²⁸ Danielle L. Infeld, 'Precision-guided munitions demonstrated their pinpoint accuracy in desert storm; but is a country obliged to use precision technology to minimize collateral civilian injury and damage?' *George Washington Journal of international law and Economics*, Vol. 26 (1) (1992), გვ. 134-5. მსგავს (თუმცა უფრო დეტალურ) მიდგომას ავსტრალიის სამხედრო სახელმძღვანელო პრინციპებიც ითვალისწინებს, იხილეთ 26-ე სქოლიო: *სამხედრო აღჭურვილობაში ზუსტი დამიზნების იარაღების ქონა ავტომატურად არ გულისხმობს, რომ შეიარაღებული კონფლიქტის მხარე კონვენციურ იარაღებთან შედარებით ყოველთვის მათ უნდა მიანიჭოს უპირატესობა (მიუხედავად იმისა, რომ კონვენციურმა იარაღებმა შესაძლოა თანამდევნი ზიანი გამოიწვიოს). ხშირ შემთხვევაში შესაძლებელი იქნება კონვენციური იარაღები კანონიერი სამხედრო სამიზნეების წინააღმდეგ ისე გამოყენება, რომ შეიარაღებული კონფლიქტების დროს მოქმედი სამართლის მოთხოვნები არ დაირღვეს. ცალკეული იარაღის გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების მიღება მეთაურის პრეროგატივაა; გადაწყვეტილების მიღების პროცესში გათვალისწინებული უნდა იყოს შეიარაღებული კონფლიქტების დროს მოქმედი სამართლის მოთხოვნები; სამხედრო აუცილებლობის, ზედმეტი ტანჯვის აკრძალვისა და პროპორციულობის პრინციპები* (834-ე პარაგრაფი).

კონფლიქტის მხარეებს ავალდებულებს, რომ თავდასხმის განსახორციელებლად იარაღების შერჩევის პროცესში მიიღონ სიფრთხილის საგანგებო ზომები, რათა თავიდან აიცილონ ან შეამცირონ თავდასხმის შედეგად სამოქალაქო მოსახლეობაში გამოწვეული ზიანი.

ასეთი მიდგომის საპირისპიროდ, როგორც წესი, რამდენიმე არგუმენტს ასახელებენ. პირველ რიგში, თავდასხმის განსახორციელებლად ყველაზე ზუსტი დამიზნების იარაღების გამოყენების ვალდებულება სამხედრო აღჭურვილობის განვითარების დონის გათვალისწინებით შეიარაღებული კონფლიქტის მხარეებისთვის განსხვავებულ სტანდარტს დააწესებდა. რაც, თავის მხრივ, საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალში შეიარაღებული კონფლიქტის მხარეების თანასწორობის ფუნდამენტურ პრინციპს შეეწინააღმდეგებოდა.²⁹ ეს არგუმენტი არც თუ ისე დამაჯერებელია, რადგან, როგორც უკვე აღინიშნა, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ერთ-ერთ უმთავრეს მიზანს საბრძოლო მოქმედებებისაგან სამოქალაქო მოსახლეობისა და სამოქალაქო ობიექტების შეძლებისდაგვარად დაცვა წარმოადგენს. შესაბამისად, 'მოსაზრება, რომ მაღალი ტექნოლოგიური საბრძოლო საშუალებებით აღჭურვილი მხარე ვალდებული არ არის გამოიყენოს ეს იარაღები, რადგან მოწინააღმდეგე მხარეს მსგავსი იარაღები არ აქვს, მხარეთა თანასწორობის ძირითად პრინციპს ეწინააღმდეგება', მცდარია.³⁰ ნებისმიერ შემთხვევაში, სიფრთხილის ზომების 'პრაქტიკული შესაძლებლობის ფარგლებში' მიღების ვალდებულება უკვე მიუთითებს, რომ განხორციელებული თავდასხმა შეიარაღებული კონფლიქტის მხარის ეკონომიკური და ტექნოლოგიური განვითარების დონის გათვალისწინებით შეფასდება.³¹

არსებობს მოსაზრება, რომ ყველაზე უფრო ზუსტი დამიზნების იარაღების გამოყენების ვალდებულების დაწესება საგრძნობლად შეანელებდა ზუსტი დამიზნების ძვირადღირებული იარაღების სისტემების განვითარების პროცესს. დახვეწილი სისტემების შექმნის პროცესის განზრახ გაჭიანურების შემთხვევაში შეიარაღებული კონფლიქტის მხარე კანონიერად გამოიყენებდა უფრო იაფ და ნაკლები სიზუსტის იარაღებს. ეს, თავის მხრივ, პროპორციულობის პრინციპის მნიშვნელობისთვის საგრძნობლად დაწვედა დამიზნების სიზუსტის მოთხოვნას. ეს არასამართლებრივი არგუმენტი დიდი მხარდაჭერით არ სარგებლობს. ზუსტი დამიზნების იარაღების გამოყენება მხოლოდ ჰუმანიტარულ მიზნებს არ ემსახურება. რეალურად, ასეთი იარაღების გამოყენების პირველი და უმთავრესი უპირატესობა სამხედრო ეფექტურობაა. შესაბამისად, ზუსტი დამიზნების იარაღების გამოყენების მოთხოვნის დაკმაყოფილების სურვილი წინ ვერ აღუდგება შეიარაღებული კონფლიქტის მხარეების სამხედრო ინტერესს, რომ გამოიგონონ და შექმნან ზუსტი დამიზნების იარაღები.

ამრიგად, თანამედროვე საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი სახელმწიფოებს არ ავალდებულებს, რომ შეიძინონ სამხედრო იარაღების ბაზარზე არსებული ყველაზე უფრო ზუსტი დამიზნების საშუალებები, მაშინაც კი, როდესაც მათ საამისო ფინანსური რესურსები გააჩნიათ.³²

²⁹ 'არალოგიკური იქნებოდა იმის მტკიცება, რომ სახელმწიფოებს, რომლებსაც არსენალში ზუსტი დამიზნების იარაღები მოეპოვებათ - მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატები, დიდი ბრიტანეთი და რუსეთი - სამართლის განსხვავებული მოთხოვნების დაცვა უნდა მოეთხოვებოდეთ'; Nathan A. Canestaro, 'Legal policy Constraints on the Conduct of Aerial Precision Warfare', *Vanderbilt Journal of Transitional Law*, Vol. 37 (2004), გვ. 465. Yoram Dinstein, 'ტექნოლოგიური განვითარების ხანაში ასეთი მიდგომა საფუძველს ჩაუყრდა გაუმართლებელ დისკრიმინაციას, რის გამოც დახვეწილი იარაღებით აღჭურვილი სახელმწიფოები სხვა სახელმწიფოებთან შედარებით უარეს ან უკეთეს მდგომარეობაში აღმოჩნდებოდნენ' (იხილეთ მე-13 სქოლიო, გვ. 126).

³⁰ Michael N. Schmitt, 'The Impact of High and Low-Tech Warfare on the Principle of Distinction', Briefing Paper, November 2003, Program on Humanitarian Policy and Conflict Research at Harvard University, გვ. 10.

³¹ Eric Howorski, 'Military Necessity' and 'Civilian Immunity': Where is the Balance?', *Chinese Journal of International Law*, (1) (2003), გვ. 201. ავტორი მიიჩნევს, რომ განსხვავებული სტანდარტების გამოყენების შესაძლებლობა მხოლოდ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლისთვის არ არის დამახასიათებელი; სახელმწიფოების ხელთ არსებული ბერკეტების გათვალისწინებით განსხვავებული სტანდარტების მოქმედება საერთაშორისო სამართლის სხვა სფეროებშიც მიღებულია (მაგალითად, გარემოს დაცვის სამართალი).

³² Schmitt, იხილეთ 30-ე სქოლიო, გვ. 10. ავტორი მიიჩნევს, რომ სახელმწიფოების მიერ ზუსტი დამიზნების იარაღების ქონის ვალდებულება მთლიანი ეროვნული პროდუქტის პროცენტული მაჩვენებლის ან თავდაცვისთვის გამოყოფილი ბიუჯეტის გათვალისწინებით უნდა შეფასდეს. ამასთან, ავტორს მიაჩნია, რომ

თუმცა, შეიარაღებული კონფლიქტების სამართლის მიხედვით, სახელმწიფოები ვალდებული არიან გამოიყენონ ასეთი საშუალებები, თუკი მათ სამხედრო არსენალში მოიპოვება ზუსტი დამიზნების იარაღის სისტემები და თუკი პრაქტიკულად შესაძლებელია მათი გამოყენება.

დაგეგმილი იერიშის გაუქმების ან შეჩერების ვალდებულება, როდესაც ახლად გამოვლენილი გარემოებებით ირკვევა, რომ თავდასხმის განხორციელების შემთხვევაში დაირღვევა პროპორციულობის პრინციპი, რომ ამორჩეული სამიზნე არ არის სამხედრო ხასიათის ან განსაკუთრებული დაცვით მოსარგებლე ობიექტი

შეიძლება ითქვას, რომ ეს დებულება სრულიად ზედმეტია. საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი ითვალისწინებს როგორც სამოქალაქო მსოახლეობასა და სამოქალაქო ობიექტებზე უშუალო თავდასხმების აკრძალვას, ისე - თავდასხმის განხორციელებისას სამოქალაქო ობიექტებისა და სამხედრო სამიზნეების განსხვავების ვალდებულებას. შესაბამისად, ლოგიკურია, რომ იერიში უნდა გაუქმდეს ან შეჩერდეს, თუკი აშკარაა, რომ წინასწარ შერჩეული სამიზნე სამხედრო ხასიათის არ არის, ან თუკი თავდასხმა პროპორციულობის პრინციპის მოთხოვნებს დაარღვევს. თუმცა, ამ მოთხოვნის დამატებითი დებულებით გათვალისწინება მხოლოდ ზემოხსენებულ მიზანს არ ემსახურება. დამოუკიდებელი წესის არსებობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თანამედროვე შეიარაღებული კონფლიქტების კონტექსტში, რადგან დღეისთვის იერიშის დაგეგმვასა და თავდასხმის განხორციელების პროცესში სხვადასხვა პირები მონაწილეობენ. ეს წესი კიდევ ერთხელ აღიარებს ძირითად წესს, რომ აღნიშნული მოთხოვნა საბრძოლო მოქმედებების ყველა ეტაპზე ვრცელდება.³³

თუკი გამოაშკარავდება, რომ წინასწარი დაგეგმვის ეტაპზე შეცდომა იქნა დაშვებული, ეს დებულება იმ პირებზეც გავრცელდება, რომლებიც თავდასხმის დაგეგმვაში იღებდნენ მონაწილეობას. სწორედ ასეთ შემთხვევას ჰქონდა ადგილი, როდესაც NATO ყოფილი იუგოსლავიის ფედერაციული რესპუბლიკის წინააღმდეგ ახორციელებდა ოპერაციას - 'მოკავშირე ძალები'. 1999 წლის 14 აპრილს NATO-ს ჯარებმა რამდენიმე იერიში მიიტანეს ავტომანქანების კოლონაზე, რომელიც ოპერაციის დაგეგმვის ეტაპზე სამხედრო სამიზნედ იქნა იდენტიფიცირებული. ოპერაციის დაგეგმვის კონკრეტულ ეტაპზე გაჩნდა გარკვეული ეჭვები კოლონის სამხედრო ხასიათთან დაკავშირებით, რადგან ყოფილი იუგოსლავიის ჯარისთვის დამახასიათებელი არ იყო ასეთი დიდი კოლონით მოძრაობა. შედეგად, NATO-ს ძალებმა გადაწყვიტეს გაეფხავნათ უფრო ნელი და სანდო საჰაერო ხომალდი, რომელსაც სამიზნეების ხასიათის შემოწმება დაევა. ამისთვის, სამხედრო ოპერაცია 20 წუთზე მეტი ხნით შეჩერდა. როდესაც საჰაერო ხომალდის მიერ მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე აშკარა გახდა, რომ კოლონა როგორც სამოქალაქო, ისე სამხედრო ავტომანქანებით შედგებოდა, ყველა თავდასხმა გაუქმდა და NATO-მ უკან გაიხმო ყველა საჰაერო ხომალდი.³⁴

სახელმწიფოები არ დათანმდებიან ისეთ საერთაშორისო სამართლებრივ ვალდებულებას, რომელიც ეროვნული ბიუჯეტის გადანაწილების დისკრეციას გარკვეულწილად მაინც შეზღუდავს.

³³ ჟენევის კონვენციების I დამატებითი ოქმის წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის მიერ მომზადებული კომენტარების მიხედვით, ეს დებულება ვრცელდება არა მხოლოდ იმ პირებზე, რომლებიც თავდასხმის დაგეგმვაში მონაწილეობენ ან თავდასხმის განხორციელებაზე იღებენ გადაწყვეტილებას, არამედ - და განსაკუთრებით - იმ პირებზეც, რომლებიც იერიშს ახორციელებენ (იხილეთ ჟენევის კონვენციების I დამატებითი ოქმის კომენტარები, გვ. 686, 2220-ე პარაგრაფი). აგრეთვე იხილეთ *Fight in Light* (ICRC, Geneva, 1999), რომელიც განსაკუთრებით გამოყოფს სიფრთხილის ამ ზომას რადგან ის არა მხოლოდ თავდასხმის დაგეგმვის პროცესში ჩართულ პირებზე ვრცელდება, არამედ უშუალოდ თავდასხმის განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირებზეც (გვ. 71, 1103(1)(c)).

³⁴ Anthony P. V. Rogers, 'Zero-casualty warfare', IRRIC, No. 837 (March 2000), გვ. 174-5. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პირები, რომლებსაც ობიექტის ხასიათთან დაკავშირებით ეჭვი ჰქონდათ, სწორად მოიქცნენ. თუმცა, ეს არ

უპირველეს ყოვლისა, ეს დებულება უნდა განიმარტოს როგორც შეიარაღებული ძალების თითოეული წევრის ინდივიდუალური ვალდებულება გააუქმოს ან შეაჩეროს თავდასხმა, თუკი ოპერაციის მსვლელობის დროს გამოაშკარავდება ისეთი ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც თავდასხმის დაგეგმვის ეტაპზე არ იყო ცნობილი. მაგალითად, თუკი საჰაერო ხომალდს მიღებული აქვს ბრძანება გაანადგუროს ობიექტი, რომელიც მოწინააღმდეგე მხარის სამხედრო მეთაურების სამყოფელს წარმოადგენდა, თუმცა შემდგომ ეტაპზე აღმოჩნდა, რომ სამიზნეზე გამოსახულია დამცავი ემბლემა,³⁵ მაშინ ის ვალდებული იქნება შეაჩეროს ოპერაცია. ამასთან, დაბომბვის განხორციელებამდე საჰაერო ხომალდი ვალდებული იქნება აღნიშნული ინფორმაცია მიაწოდოს მეთაურებს და მოითხოვოს საბოლოო დასტური, რომ ამორჩეული სამიზნე ნამდვილად სამხედრო ობიექტია. თუკი საჰაერო ხომალდი ობიექტის სამხედრო ხასიათთან დაკავშირებით საბოლოო დასტურს არ მიიღებს, მაშინ თავდასხმა უნდა გაუქმდეს.³⁶

რა თქმა უნდა, თავდასხმა, როგორც წესი, პირველი ჭურვის ჩამოგდებაზე შეჩერდება ან გაუქმდება. თუმცა, თანამედროვე შეიარაღებულ კონფლიქტებში, განსაკუთრებით კი ლაზერით აღჭურვილი იარაღების გამოყენების პირობებში, თავდასხმის შეწყვეტა ისეთ შემთხვევებშიც იქნება შესაძლებელი, როდესაც შეიარაღებული კონფლიქტის მხარემ უკვე დაიწყო იარაღების გამოყენება. მაგალითისთვის, 1999 წლის 18 აპრილს გამართულ NATO-ს პრეს-კონფერენციაზე ასეთი ინციდენტი გაიხსენეს. მფრინავმა, რომელსაც მოწინააღმდეგე მხარის რადარის წინააღმდეგ საჰაერო თავდასხმის განხორციელება ევალებოდა, იერიშის დაწყების შემდეგ შენიშნა, რომ სამიზნე ტაძრის მახლობლად იყო განლაგებული. შეიარაღებული იერიშის შედეგად ტაძრის დაზიანების თავიდან აცილების მიზნით, მფრინავმა გადაწყვიტა რომ იარაღის სისტემები სამიზნიდან სხვა ობიექტზე გადაეტანა. შედეგად, ჭურვები ტყეში თანმდევი ზიანის გარეშე აფეთქდა.³⁷

ამრიგად, განსხვავების პრინციპის დაცვის მიზნით, სავლელე ოპერაციების განხორციელების დროს კომბატანტებს და სხვა პირებს, რომლებიც თავიანთი საქმიანობის ფარგლებში ხელი მიუწვდებთ პირველად ინფორმაციაზე, ევალებათ ყოველთვის მიმართონ სიფრთხილის მსგავს ზომებს. ეს ვალდებულება ჟენევის კონვენციების I დამატებით ოქმში საკმაოდ არაორაზროვნად არის გაწერილი. შესაბამისად, თავდასხმის განხორციელებამდე მიღებული მითითებები აბსოლუტური ხასიათის ვერ იქნება. ჯარისკაცი, რომელმაც საერთაშორისო სამართლით აკრძალული ქმედება განახორციელა, თავს ვერ გაიმართლებს იმ საფუძვლით, რომ მეთაურის მითითებებს ასრულებდა.

ამ წესის პრაქტიკაში გამოყენება გაცილებით დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული, როდესაც საქმე თავდასხმის პროპორციულობის საკითხს შეეხება. როგორც უკვე აღინიშნა, წინასწარ დაგეგმილ და შეთანხმებულ ოპერაციებში ტანკის მძღოლებსა და მფრინავებს არ მოეთხოვებათ, რომ თითოეული იერიშის განხორციელებამდე შეაფასონ, მნიშვნელოვნად აღემატება თუ არა თავდასხმის შედეგად მოსალოდნელი მსხვერპლი და სამოქალაქო ობიექტებისთვის მიყენებული ზიანი ამ თავდასხმის შედეგად მოსალოდნელ კონკრეტულ და უშუალო სამხედრო უპირატესობას. პირველ რიგში, ასეთი მასშტაბის თავდასხმის განხორციელება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული შეიარაღებული ძალების წევრების დისციპლინასა და შეთანხმებულად მოქმედებაზე. ასეთ დროს დაუშვებელია ტანკებისა და საჰაერო ხომალდების არაორგანიზებული მოქმედება. ამრიგად, ხშირად პრაქტიკულად შეუძლებელი იქნება იერიშის დროებით შეჩერება და პროპორციულობის პრინციპის მოთხოვნების დაცვის მიზნით სიტუაციის ხელახლა შეფასება. ამასთან, ასეთ შემთხვევებში პროპორციულობა მთლიანი თავდასხმის ჭრილში უნდა გაანალიზდეს.

ამსუბუქებს ამ პირების პასუხისმგებლობას, რადგან მსგავსი ეჭვი იერიშის პირველი ტალღის განხორციელებამდე არ გაუჩნდათ.

³⁵ მაგალითად, წითელი ჯვარი ან წითელი ნახევარმთვარე, ან კულტურული ფასეულობების, სახიფათო ძალების შემცველი ნაგებობებისა და დანადგარების აღმნიშვნელი ემბლემა და სხვა.

³⁶ ეს მაგალითი ავსტრალიის სამხედრო სახელმძღვანელო პრინციპებში გამოყენებულია საჰაერო ოპერაციების განხორციელების დროს ისეთი შემთხვევების საილუსტრაციოდ, რომლის დროსაც ზემოხსენებული წესი უნდა გამოიყენებოდეს, იხილეთ 26-ე სქოლიო, 832-ე პარაგრაფი.

³⁷ ეს მაგალითი მოყვანილია შემდეგი სახელმძღვანელოდან: Rogers, იხილეთ 34-ე სქოლიო, გვ. 172 (n. 125).

თუკი შეიარაღებული ძალების მეთაური გადაწყვეტს, რომ მოწინააღმდეგე მხარის ჯარის პროგრესირების აღკვეთის მიზნით მდინარეებზე გადასასვლელი ხიდები უნდა გაანადგურდეს, ცხადია, რომ სამხედრო უპირატესობის მოპოვება მხოლოდ მთლიანი ინფრასტრუქტურის განადგურების შემთხვევაში იქნება შესაძლებელი. ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ ტანკის მძღოლის ან მფრინავის მოსაზრებით მისი ქმედება შესაძლოა არაპროპორციული იყოს, მთლიანი ოპერაციის გათვალისწინებით, შესაძლებელია დაკმაყოფილებული იყოს პროპორციულობის პრინციპის მოთხოვნები. არსებობს მოსაზრება, რომ ასეთ შემთხვევებში ჟენევის კონვენციების I დამატებითი ოქმის 85(3) მუხლის საფუძველზე ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა მხოლოდ იმ პირებს დაეკისრებათ, რომლებიც სამხედრო თავდასხმის დაგეგმვაში მონაწილეობდნენ და არა იერიშის შემსრულებლებს.³⁸ ასე რომ, მეთაურის ბრძანების არსებობა პასუხისმგებლობისგან გაათავისუფლებს იმ პირს, რომელმაც უშუალო წვლილი შეიტანა თავდასხმის შედეგად გამოწვეული ზიანის დადგომაში.

ერთი შეხედვით, ეს წესები საკმაოდ ლოგიკურია. თუმცა, სამართლის მოთხოვნების შეფასების პროცესში ამ წესებმა შესაძლოა პრაქტიკოსები შეცდომაში შეიყვანოს. ასეთ დროს საკმარისი არ იქნება, რომ თავდასხმის განმახორციელებელი პირი უსიტყვოდ მიენდოს იმ პირების ბრძანებებს, რომლებიც სამხედრო ოპერაციის დაგეგმვაში მონაწილეობდნენ ან იერიშის განხორციელების გადაწყვეტილება მიიღეს. ჟენევის კონვენციების I დამატებითი ოქმის 57(2)(b) მუხლი მორგებულია ისეთ შემთხვევებზე, როდესაც შეცდომა დაშვებულია სამიზნის ხასიათთან დაკავშირებით ან იერიშის განხორციელების ეტაპზე მხარემ მოიპოვა ინფორმაცია, რომელიც არსებითად ცვლის მოსაზრებას სამიზნის ხასიათთან დაკავშირებით. ასეთ შემთხვევებში, თუკი ტანკის მძღოლი ან მფრინავი იძულებული იქნება დაუფიქრებლად შეასრულოს მეთაურის ბრძანება, აუცილებლად ექნება ადგილი დებულების მოთხოვნების დარღვევას. ზემოთ მოყვანილ მაგალითზე დაყრდნობით, თუკი ხიდზე იერიშის მიტანამდე ტანკის მძღოლი შეამჩნევს, რომ ამ ხიდს თავს აფარებენ სამოქალაქო პირები, მაშინ ის ვერ ივარაუდებს, რომ თავდასხმის პროპორციულობის პრინციპის მოთხოვნების დაგეგმვის ეტაპზე შეფასებისას მეთაურებმა ეს ინფორმაციაც გაითვალისწინეს. ამრიგად, მათ უფლება არ აქვთ, რომ ბრმად მიენდონ მეთაურის ბრძანებას და დაბომბონ ხიდი. ის ვალდებული იქნება შეწყვიტოს იერიში, რათა სამოქალაქო პირებს ევაკუაციის შესაძლებლობა მისცეს ან ახლად აღმოჩენილი გარემოებების გათვალისწინებით მეთაურებისგან ხელახლა მოითხოვოს მითითებები.

სამხედრო იერიშისთვის ისეთი სამხედრო სამიზნის არჩევის ვალდებულება, რომელიც ყველაზე ნაკლებ მსხვერპლს გამოიწვევს და ნაკლებად დააზიანებს სამოქალაქო ობიექტებს

ნიუ დელის 1956 წლის წესების პროექტის მე-8(a)(2) მუხლი უკვე ითვალისწინებდა ზოგად მოთხოვნას, რომ როდესაც სამხედრო უპირატესობის მოპოვებისათვის რამდენიმე სამხედრო ობიექტს შორის არჩევანია შესაძლებელი, არჩევანი იმ ობიექტზე უნდა შეჩერდეს, რომელზე თავდასხმაც სამოქალაქო პირებსა და სამოქალაქო ობიექტებს ყველაზე ნაკლებ საფრთხეს შეუქმნის. როგორც ჩანს, წესებზე მუშაობის პროცესში ამ მოთხოვნას სათანადო ყურადღება არ დაეთმო, რადგან შესასრულებლად სავალდებულო ხასიათის მქონე ვალდებულების ნაცვლად ის სარეკომენდაციო ხასიათის დებულებად ჩათვალეს. ეს ალტერნატიული სამიზნეები სამხედრო ხასიათის ობიექტებია, რომელთა განადგურებაც *a priori* კანონიერია და პრაქტიკულად წარმოუდგენელია, რომ თითოეული სამიზნის განადგურებით იდენტური სამხედრო უპირატესობის მიღწევა იქნება შესაძლებელი.³⁹ თუმცა, ანალოგიური ვალდებულება ჟენევის კონვენციების I დამატებითი ოქმში 57(3) მუხლშიც გაითვალისწინეს და 1956 წელს ჩამოყალიბებული დებულების მოქმედება სამოქალაქო ობიექტებზეც გაავრცელეს. ამრიგად, დღეისთვის ამ მოთხოვნას სხვადასხვა ქვეყნის სამხედრო

³⁸ Bother et al., იხილეთ მე-19 სქოლიო, გვ. 366-7, 2.8.1.3. პარაგრაფი.

³⁹ Fris Kalshoven, Liesbeth Zegveld, *Constraints on the Waging of War*, ICRC, Geneva, 2001, გვ. 109.

სახელმძღვანელო პრინციპებიც ითვალისწინებს და ის შესასრულებლად სავალდებულო ხასიათის ვალდებულებას წარმოადგენს.⁴⁰

ხშირად სამიზნეებს შორის არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა მოწინააღმდეგე მხარის ინფრასტრუქტურასა და საკომუნიკაციო ხაზებზე თავდასხმის შემთხვევებში არსებობს. მაგალითად, თუკი შესაძლებელია სატელეფონო კომუნიკაციის სადგურზე უშუალო თავდასხმა და გადამცემ ხაზებზე თავდასხმა, მხარემ, რომელიც თავდასხმის განხორციელებას აპირებს, სამიზნედ დასახლებული პუნქტების გარეთ არსებული საკომუნიკაციო ხაზები უნდა ამოარჩიოს, თუკი ზემოხსენებულ ორ სამიზნეზე თავდასხმის შედეგად ანალოგიური სამხედრო უპირატესობა იქნება მიღწეული. ვინაიდან თანამედროვე საკომუნიკაციო სისტემების შემქმნელები ცდილობენ, რომ თავიდან აიცილონ გადაცემის ცენტრალიზებული სისტემების გამოყენება და რისკების შემცირების მიზნით ქსელების დეცენტრალიზაციას ახდენენ, სამხედრო სამიზნეებს შორის არჩევანის გაკეთება მომავალში უფრო მნიშვნელოვანი იქნება. ამრიგად, საკომუნიკაციო სისტემის სრული პარალიზების მიზნით დასახლებულ პუნქტში განლაგებული გადამცემის დაბომვის სამხედრო აუცილებლობის მოთხოვნებით გამართლება ნაკლებად დამაჯერებელი იქნება.⁴¹

სამოქალაქო მოსახლეობისთვის საფრთხის შემქმნელი თავდასხმების შესახებ წინასწარი გაფრთხილების ვალდებულება

სამოქალაქო მოსახლეობისთვის საფრთხის შემქმნელი თავდასხმების შესახებ წინასწარი გაფრთხილების ვალდებულებას საბრძოლო მოქმედებების მარეგულირებელი უმველესი წესებიც ითვალისწინებდა. Lieber Code-ს მე-19 მუხლის მიხედვით, შეიარაღებული კონფლიქტის მხარეები ვალდებული არიან 'დაგეგმილი თავდასხმის შესახებ გაფრთხილონ მოწინააღმდეგე მხარე, რათა დაბომბვის დაწყებამდე მოხერხდეს ამ ტერიტორიიდან არაკომბატანტების, განსაკუთრებით კი ქალებისა და ბავშვების, გარიდება'. სიფრთხილის ეს ღონისძიება ყოველთვის გათვალისწინებული იყო Lieber Code-ს შემდეგ და მეოცე საუკუნის დასაწყისამდე შემუშავებულ სამართლებრივ დოკუმენტებში.⁴² აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ წესის პრაქტიკაში გამოყენება თავდაპირველად მნიშვნელოვან სირთულეებს არ უკავშირდებოდა, რადგან დაბომბვა, რომელსაც შეეძლო საფრთხის ქვეშ ჩაეყენებინა სამოქალაქო მოსახლეობა, როგორც წესი ალყის ოპერაციებში არტილერიის გამოყენებით ხორციელდებოდა. ასეთ შემთხვევებში შეიარაღებული კონფლიქტის მხარეს არ სჭირდებოდა მოულოდნელობის ეფექტის გამოყენება. ამიტომაც, თავდასხმის განხორციელებამდე დაგეგმილი თავდასხმის შესახებ მოწინააღმდეგე მხარის გაფრთხილება პრობლემას არ

⁴⁰სახელმწიფოების სამხედრო სახელმძღვანელო პრინციპებისთვის, რომლებიც ამ ვალდებულებას ითვალისწინებენ, იხილეთ: Henckaerts and Doswald-Beck, იხილეთ მე-8 სქოლიო, Vol. II (Practice), Part 1, გვ. 413-18.

⁴¹ერიკ დავიდი მსგავს არგუმენტაციას იყენებს, როდესაც ამტკიცებს, რომ სერბეთის რადიო და სატელევიზიო ანძა ყოფილი იუგოსლავიის ფედერაციული რესპუბლიკის საკომუნიკაციო ქსელის უმთავრეს ელემენტად ვერ ჩაითვლებოდა, რადგან ქვეყანაში კიდევ ასობით სხვა სადგური არსებობდა ('Respect for the principle of distinction in the Kosovo war', YIHL, Vol. 3 (2000), გვ. 90-1).

⁴²დაცულ ზონებზე განსახორციელებელი თავდასხმების შესახებ მოწინააღმდეგე მხარის წინასწარ გაფრთხილების ვალდებულებას ბრიუსელის დეკლარაციაც ითვალისწინებდა (მე-6 მუხლი). თუკი გაფრთხილების ვალდებულებას Lieber Code ზოგადად მეთაურებს აკისრებდა, ბრიუსელის დეკლარაცია აზუსტებდა, რომ გაფრთხილების ვალდებულება იერიშის განმარტაციული ძალების მეთაურს ეკისრებოდა. დარღვევის შემთხვევაში პასუხისმგებელი მხოლოდ ის იქნებოდა. ამასთან, გაფრთხილების ადრესატი უნდა ყოფილიყვნენ დაცულ ტერიტორიაზე მყოფი პასუხისმგებელი პირები. სათანადო საპასუხო ზომების მიღების ვალდებულება სწორედ მათ ეკისრებოდათ. ანალოგიურ ვალდებულებას ითვალისწინებდა ოქსფორდის სახელმძღვანელო პრინციპები (33-ე მუხლი) და 1899 წლის ჰააგის II კონვენციაზე თანდართული რეგულაციები (26-ე მუხლი). 1907 წლის ჰააგის IV კონვენციაზე თანდართული რეგულაციების 27-ე მუხლი კიდევ ერთხელ იმეორებდა ამ ვალდებულებას. თუმცა, არსებობს მოსაზრება, რომ დებულება მხოლოდ ალყამეორტყმულ ქალაქებზე თავდასხმების შემთხვევებში გამოიყენებოდა.

წარმოადგენდა. ალყაშემორტყმულ ტერიტორიაზე განლაგებული შეიარაღებული ძალების მეთაურები წინ ვერ აღუდგებოდნენ სამხედრო სამიზნეებზე თავდასხმას. ამრიგად, დაგეგმილი თავდასხმის შესახებ მოწინააღმდეგე მხარის ინფორმირების შემთხვევაში იერიშის შედეგად გამოიწვეულ სამხედრო უპირატესობას არ კარგავდნენ.

ზოგიერთი ავტორი მიიჩნევს, რომ საბრძოლო პრაქტიკაში საჰაერო დაბომბვების გამოჩენასთან ერთად ვითარება საგრძნობლად შეიცვალა და გაფრთხილების ვალდებულება დღეისთვის უკვე მოძველებულია.⁴³ მართლაც, სამხედრო ოპერაციის წარმატებაში (განსაკუთრებით თანამედროვე ანტი-საჰაერო ტავდაცვის სისტემების არსებობის პირობებში) მოულოდნელობის ეფექტი განმსაზღვრელ როლს თამაშობს. მიუხედავად ამისა, სახელმწიფოების პრაქტიკა ცხადყოფს, რომ სიფრთხილის ამ ღონისძიების მოძველების შესახებ თეორია მცდარია. გაფრთხილების ვალდებულება გათვალისწინებულია არა მხოლოდ თანამედროვე სამართლებრივ დოკუმენტებსა და დოქტრინაში,⁴⁴ არამედ - სახელმწიფოთა სამხედრო სახელმძღვანელო პრინციპებშიც.⁴⁵ ამასთან, საჰაერო სამხედრო ოპერაციების პრაქტიკაც ცხადყოფს, რომ სიფრთხილის ეს ზომები პრაქტიკაში რეალურად გამოყენება. მაგალითად, ყოფილი იუგოსლავიის ფედერაციული რესპუბლიკის ტერიტორიაზე განხორციელებული სამხედრო ოპერაციის - 'მოკავშირე ძალების' შემთხვევაში NATO-მ გამოიყენა გაფრთხილება, როგორც სიფრთხილის ზომა. არგუმენტი, რომ მოულოდნელობის ეფექტს მოკავშირე ძალების მიერ განხორციელებული სამხედრო ოპერაციის წარმატებისთვის განმსაზღვრელი მნიშვნელობა ჰქონდა, არც თუ ისე დამაჯერებელი იყო.⁴⁶

სამხედრო პრაქტიკა ცხადყოფს, რომ გაფრთხილების ვალდებულება უმნიშვნელოვანეს სიფრთხილის ზომას წარმოადგენს. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შესაბამისი კონვენციური დებულების ტექტი, აბსოლუტური ხასიათის არ არის. როგორც უკვე აღინიშნა, სამხედრო აუცილებლობის მოთხოვნების გათვალისწინებით, ცალკეულ შემთხვევებში შეუძლებელი იქნება ამ მოთხოვნის დაცვა, თუკი ეს შეუძლებელს ხდის ან მნიშვნელოვნად დააზარალებს სამხედრო ოპერაციის წარმატებას. ამიტომაც, დებულების ფორმულირება ყოველთვის ითვალისწინებდა ჩანაწერს, რომელიც ასუსტებდა გაფრთხილების ვალდებულების ხასიათს. ჟენევის კონვენციების I დამატებითი ოქმის თანახმად, გაფრთხილება აუცილებელია, თუკი 'შექმნილი ვითარება შეუძლებელს არ ხდის' სიფრთხილის ამ ღონისძიების გამოყენებას. შესაბამისად, გაფრთხილების ვალდებულება უნდა შესრულდეს, თუკი შეიარაღებული კონფლიქტის მხარე ვერ დაამტკიცებს ისეთი ფაქტობრივი გარემოებების არსებობას, რომელიც გაამართლებდა ამ მოთხოვნის შეუსრულებლობას.⁴⁷

ამ დებულებით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევების მტკიცებასთან დაკავშირებული სირთულეების გარდა, გარკვეული კითხვის ნიშნები გაფრთხილების ფორმასა და შინაარსთან (სიზუსტესთან) დაკავშირებითაც არსებობს. ჟენევის კონვენციების I დამატებითი ოქმის 57(2)(c) მუხლი, რომელიც 'ეფექტური წინასწარი' გაფრთხილების მოთხოვნას აწესებს, არ აკონკრეტებს, თუ რამდენად დეტალური უნდა იყოს ინფორმაცია, რომ შეიარაღებული კონფლიქტის

⁴³ Peter Rowe, 'Kosovo 1999: 'The air campaign – Have the provisions of Additional Protocol I withstood the test?' IRRC, No 837 (March 2000), გვ. 154, ამ ნაშრომში ციტირებულია Theodor Meron, *War Crimes Law Comes of Age*, Clarendon Press, Oxford, 1998.

⁴⁴ მაგალითად, იხილეთ ნიუ დელის წესების პროექტის (1956) მე-8(c) მუხლი. ამასთან, ამ ვალდებულების ჟენევის კონვენციების I დამატებითი ოქმის 57-ე მუხლში გაწერის შესახებ შეთანხმების მიღწევა დამატებითი განხილვის გარეშე მოხერხდა.

⁴⁵ სამხედრო სახელმძღვანელო პრინციპების ჩამონათვალისა და სახელმწიფოების დიპლომატიური და სამხედრო პრაქტიკის სხვა ელემენტებზე დამატებითი პრაქტიკისთვის იხილეთ: Henckaerts and Doswald-Beck, იხილეთ მე-8 სქოლიო, Vol. II (Practice), Part 1, გვ. 400-413.

⁴⁶ Rowe, იხილეთ 43-ე სქოლიო, გვ. 154.

⁴⁷ ჟენევის კონვენციების I დამატებითი ოქმით გათვალისწინებული ვალდებულება გაიწერა კონვენციური იარაღების შესახებ 1980 წლის კონვენციის II დამატებითი ოქმის მე-5(2) მუხლსა და დამატებითი ოქმის 1996 წლის 3 მაისის განახლებულ ტექსტშიც (იხილეთ მე-3(11) მუხლი, რომელიც დისტანციურად განლაგებულ ნაღმებს შეეხება).

მხარის მიერ გამოყენებულმა გაფრთხილებამ დააკმაყოფილოს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მოთხოვნები.⁴⁸ ამ საკითხთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა საბჭოს S-2/1 რეზოლუციის საფუძველზე ლიბანისთვის შექმნილმა საგამომიებო კომისიამ 2006 წლის 10 ნოემბრის ანგარიშში აღნიშნა რომ 'თუკი პოტენციური საფრთხის გათვალისწინებით სამოქალაქო მოსახლეობის ევაკუაციისთვის შეიარაღებული ძალები აქტიურად ცდილობენ მათ გაფრთხილებას, მნიშვნელოვანია შეფასდეს, თუ როგორ შეასრულებს სამოქალაქო მოსახლეობა მათგან მიღებულ მითითებებს. ასეთ შემთხვევებში საჭირო საბრძოლო ხომალდიდან ჩამოგდებულ ქაღალდის ნაგლეჯზე დაწერილი შეტყობინება როგორც წესი, საკმარისი არ იქნება'.⁴⁹

საინტერესოა, საკმარისი იქნება თუ არა გაფრთხილების მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად მხოლოდ 'ზუნდოვანი' შეტყობინების გაგზავნა; მაგალითად, იმ ინფრასტრუქტურული ობიექტების ჩამონათვალი, რომლებსაც შეიარაღებული კონფლიქტის მხარე სამხედრო სამიზნეებად მიიჩნევს; თუ აუცილებელი იქნება მოსახლეობისთვის საფრთხის შემქმნელი თითოეული თვდასხმის შესახებ მოწინააღმდეგე მხარის წინასწარი გაფრთხილება? ამ კითხვაზე ცალსახა პასუხის გაცემა შეუძლებელია. შეტყობინების შინაარსის სიზუსტის მოთხოვნა, როგორც წესი, ზოგად მიზანზე იქნება დამოკიდებული; თავდასხმის განმახორციელებელმა მხარემ სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში საკუთარი სამხედრო ინტერესების გათვალისწინებით უნდა უზრუნველყოს სამოქალაქო მოსახლეობისა და სამოქალაქო ობიექტების დაცვა.

თუმცა, ერთი შეხედვით მაინც ცალსახაა, რომ თავდასხმის განხორციელებაზე პასუხისმგებელი მეთაური ვალდებული არ არის დაგეგმილი იერიშის შესახებ რამდენჯერმე გააფრთხილოს მოწინააღმდეგე მხარე, თუკი სამოქალაქო მოსახლეობა იდენტიფიცირებული სამხედრო სამიზნის მახლობლად არის განლაგებული. მოთხოვნა შესრულებულად ჩაითვლება, თუკი შეიარაღებული კონფლიქტის მხარემ მოწინააღმდეგე მხარეს შეიარაღებული კონფლიქტის დაწყებისას ამ საკითხზე ზოგადი ხასიათის გააფრთხილება მისცა და ეს საკითხი მოგვიანებით კონფლიქტის მსვლელობისას აღნიშნა.⁵⁰ სამხედრო პრაქტიკა ცხადყოფს, რომ შეიარაღებული კონფლიქტის მხარეები, როგორც წესი, წინასწარ აფრთხილებენ სამოქალაქო მოსახლეობას რადიო მაუწყებლობისა თუ წერილობითი შეტყობინებების გამოყენებით. თუმცა, ასეთ შემთხვევებში მეთაური მაინც ვალდებული იქნება გამოიყენოს უფრო დეტალური გაფრთხილება, თუკი ეს შესაძლებელი და აუცილებელია. მაგალითად, თუკი იდენტიფიცირებული სამიზნე საჯარო მომსახურებისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის ინფრასტრუქტურული ობიექტია და მას ძირითადად სამოქალაქო პირები იყენებენ, თავდასხმის დროსთვის არსებული ფაქტობრივი

⁴⁸ 'რთული სათქმელია, თუ რა შემთხვევებში იყო გაფრთხილება ეფექტური. არც იმის დადგენაა მარტივი, თუ რამდენად აშკარა და პირდაპირი უნდა იყოს გაფრთხილება' (Dinstein, იხილეთ მე-13 სქოლიო, გვ. 128). თუმცა, შეიარაღებულ ძალებს მაინც ევალებათ, რომ (კეთილსინდისიერად) მიიღონ სათანადო ზომები; *Fight it Right*, იხილეთ 33-ე სქოლიო, გვ. 76, 1110.2 პარაგრაფი: 'ეფექტური არ იქნება მოსახლეობის იმ სატელევიზიო არხის გამოყენებით გაფრთხილება, რომელიც მათთვის გაუგებარ ენაზე მაუწყებლობს; საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მოთხოვნები არც მაშინ იქნება დაკმაყოფილებული, თუკი სახეზეა ასობით ათასი მილის დაშორებით მყოფი მეთაურების გაფრთხილება ან ადგილი ჰქონდა არაფრისმთქმელი ინფორმაციის გამხელას'.

⁴⁹ ადამიანის უფლებათა საბჭოს S-2/1 რეზოლუციის საფუძველზე ლიბანისთვის შექმნილი საგამომიებო კომისიის 2006 წლის 10 ნოემბრის ანგარიში, A/HRC/3/2/, 2006 წლის 23 ნოემბერი, 156-ე პარაგრაფი. ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე:

<http://www.ohchr.org/english/bodies/hrcouncil/docs/specialsession/A.HRC.3.2.pdf>

⁵⁰ ეს წესი ცალსახად არის გაწერილი ჟენევის კონვენციების I დამატებითი ოქმის კომენტარებში (გვ. 686-7, 2224 და 2225 პარაგრაფები): 'შესაძლებელია ზოგადი ხასიათის გაფრთხილების გამოყენება. მაგალითად, შეიარაღებული კონფლიქტის მხარეს შეუძლია რადიო მაუწყებლობის საშუალებების გამოყენებით გაავრცელოს ინფორმაცია, რომ იგეგმება ცალკეული ტიპის დანადგარებისა და ქარხნების დაბომბვა. ასეთი განცხადება შესაძლებელია მოიცავდეს დაგეგმილი იერიშის სამიზნეების ჩამონათვალს'. თუმცა, შესაძლებელია უფრო დეტალური ინფორმაციის გავრცელებაც. მაგალითად, მეორე მსოფლიო ომის დროს საჭირო ხომალდები სამხედრო იერიშის განხორციელებამდე დაბალ სიმაღლეზე დაფრინავდნენ, რათა გაეფრთხილებინათ სამოქალაქო მოსახლეობა. როგორც წესი, მსგავსი ზომების მიღების შესაძლებლობა დამოკიდებული იქნება საჭირო სივრცის კონტროლზე და მოწინააღმდეგე მხარის მიერ გამოყენებულ თავდაცვის სისტემებზე.

გარემოებების გათვალისწინებით საჭირო იქნება უფრო ინფორმაციული ხასიათის გაფრთხილება. რა თქმა უნდა, შეიარაღებული კონფლიქტის მხარე საჯარო სერვისების მიწოდების შეჩერების ფაქტორს არ გაითვალისწინებს, რადგან მოცემული ინფრასტრუქტურული ობიექტი მოწინააღმდეგე მხარემ არამართლზომიერად გადააქცია კანონიერ სამხედრო სამიზნედ. სამხედრო იერიშისაგან შენობაში მომუშავე სამოქალაქო პირების დაცვის მიზნით საჭირო იქნება უფრო დეტალური შინაარსის მქონე გაფრთხილების შეძლებისდაგვარად სწრაფად გავრცელება.

ზოგადი თუ სპეციალური ხასიათის გაფრთხილებები შეძლებისდაგვარად აღქმადი უნდა იყოს. NATO-ს მიერ ბელგრადში სერბეთის რადიო და სატელევიზიო ანძაზე განხორციელებული იერიშის შესახებ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, შენობაში მყოფი უცხოელი ჟურნალისტები გაფრთხილებულნი იქცნენ, რომ ტერიტორია უნდა დაეტოვებინათ. ეს გაფრთხილება საკმარისად არ ჩაითვალა, რადგან იუგოსლავიის შეიარაღებული ძალების მეთაურებს გაფრთხილება აღნიშნულ იერიშთან დაკავშირებით არ მიუღიათ. ამასთან, შეიარაღებული კონფლიქტის მხარემ მოწინააღმდეგე მხარის გაფრთხილება იერიშის განხორციელებამდე გონივრული ვადით ადრე უნდა უზრუნველყოს. თუკი გაფრთხილება დაგვიანებულია, მაშინ მოწინააღმდეგე მხარე ვერ შეძლებს სამოქალაქო მოსახლეობის ევაკუაციას.⁵¹ რა თქმა უნდა, შეიარაღებული კონფლიქტის მხარეს არ მეოთხვება მოწინააღმდეგე მხარის ზედმეტად ადრე გაფრთხილება; ასეთ შემთხვევებში, მოსახლეობამ შესაძლოა ჩათვალოს, რომ საფრთხე რეალური აღარ არის. NATO-ს მიერ სერბეთის რადიო და სატელევიზიო ანძაზე განხორციელებული იერიშის მაგალითზე, ყოფილი იუგოსლავიის შეიარაღებული ძალების მეთაურების გაფრთხილება მოხდა 1999 წლის 12 აპრილს. თუმცა, თავად იერიში თერთმეტი დღის შემდეგ, 1999 წლის 23 აპრილს განხორციელდა. ამ დროისთვის თავდასხმის საფრთხე რეალურად აღარ მიიჩნეოდა.⁵²

კიდევ ერთ მნიშვნელოვან სირთულეს შეიარაღებული კონფლიქტის მხარის მიერ მოწინააღმდეგე მხარის უშუალოდ თავდასხმის განხორციელების წინ გაფრთხილების ვალდებულება წარმოადგენს. ზოგიერთი ავტორი ყურადღებას გაფრთხილების ვალდებულების ზიანის მომტან შედეგებზე ამახვილებს. მაგალითად, სლუცკი მიიჩნევს, რომ გაფრთხილებისა და სამოქალაქო მოსახლეობის ევაკუაციისთვის საკმარისი დროის მიცემის გზით თავდასხმის განმახორციელებელი მხარე ცალკეულ შემთხვევებში უფრო თავისუფლად მოქმედებისთვის ამზადებს ნიადაგს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, გაფრთხილების შედეგად, შეიარაღებული კონფლიქტის მხარე შეძლებს დასახლებული ტერიტორია უმეტესწილად სამხედრო სამიზნეებით დაკომპლექტებულ ჭეშმარიტ ციხესიმაგრედ გადააქციოს. ასეთ შემთხვევებში, იერიშის განხორციელებისას სამოქალაქო მოსახლეობის დაზოგვის ვალდებულება, რომელთა გარიდებაც მოცემული ტერიტორიიდან გაფრთხილების შედეგად უნდა მომხდარიყო, უფრო სუსტი იქნება, ვიდრე დაუსახლებელ ტერიტორიებზე. ამავე ავტორის აზრით, გაფრთხილების შემთხვევაში თავდასხმის განმახორციელებლმა მეთაურმა შესაძლოა მთლიანი ევაკუირებული ტერიტორია სამხედრო სამიზნედ ჩათვალოს; ასეთ შემთხვევაში იერიში განსაზღვრულ ზონაზე თავდასხმას

⁵¹ ადამიანის უფლებათა საბჭოს S-2/1 რეზოლუციის საფუძველზე ლიბანისთვის შექმნილმა საგამომიებო კომისიამ აღნიშნა, რომ: 'გაფრთხილებისთვის შერჩეული დროის გონივრულობა საკმაოდ მნიშვნელოვანი ფაქტორია. ცალკეულ შემთხვევებში ისრაელის თავდაცვის ძალები დაგვიანებით თავდასხმის შესახებ ინფორმაციას იერიშის განხორციელებამდე 2 საათით ადრე ავრცელებდნენ (წერილობითი თუ ხმის გამამდიერებელი საშუალებების გამოყენებით). ასეთ შემთხვევებში უნდა შეფასდეს, შესაძლებელი იქნებოდა თუ არა ეფექტური რეაგირება მოცემულ დროის პერიოდში', (ანგარიში, იხილეთ 49-ე სქოლიო, 153-ე პარაგრაფი). თუმცა, საკმაოდ რთულია გადაჭრით თქმა, კონკრეტულ შემთხვევაში სწორად იყო თუ არა შერჩეული გაფრთხილების დრო; ისიც გათვალისწინებული უნდა იყოს, შეძლებდა თუ არა მოწინააღმდეგე მხარე ამ პერიოდში სამიზნედ იდენტიფიცირებულ ობიექტში არსებული სამხედრო აღჭურვილობის გადაადგილებას'. იხილეთ, Rowe, 43-ე სქოლიო, გვ. 154.

⁵² აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გაფრთხილების ერთადერთ მიზანს სამოქალაქო მოსახლეობის ევაკუაციის უზრუნველყოფა წარმოადგენდა, 'გაფრთხილებამ მოწინააღმდეგე მხარე შეცდომაში არ უნდა შეიყვანოს; ამ კონტექსტში ომის ხრიკების გამოყენება დაუშვებელია' (Dinstein, იხილეთ მე-13 სქოლიო, გვ. 128).

გაუტოლდება.⁵³ სამწუხაროდ, მოვლენების ამგვარად განვითარების შესაძლებლობა მხოლოდ აკადემიურ ჰიპოთეზას არ წარმოადგენს. მაგალითად, 2006 წელს ლიბანის კონფლიქტის დროს ისრაელის იუსტიციის მინისტრმა განაცხადა, რომ ვინაიდან სამოქალაქო მოსახლეობას ტერიტორიის დასატოვებლად საკმარისი დრო ჰქონდა, თითოეული ადამიანი, რომელიც გაფრთხილების შემდეგ სამხრეთ ლიბანის ტერიტორიაზე დარჩა, 'ჰეზბოლას მხარდამჭერად' ჩაითვლებოდა.⁵⁴ გაფრთხილება მხოლოდ სამოქალაქო მოსახლეობის დაცვის მიზანს უნდა ემსახურებოდეს; ამრიგად, ის შეარღვებული კონფლიქტის მხარეს სიფრთხილის დამატებითი ზომების გამოყენების ვალდებულებისგან არ ათავისუფლებს. ამ ვალდებულების სხვაგვარად განმარტება განსხვავების ზოგადი პრინციპის მოთხოვნებთან შეუსაბამობაში იქნებოდა. ლიბანისთვის შექმნილმა საგამომიებო კომისიამ ეს წესი ანალოგიურად განმარტა:

განსხვავების პრინციპისა და თავდასხმის საბრძოლო მოქმედებების მარეგულირებელი სამართლის მოთხოვნების დაცვით წარმართვის ვალდებულება მაშინაც მოქმედებს, როდესაც გაფრთხილების შემდეგ სამოქალაქო პირები კვლავ საბრძოლო მოქმედებების ზონაში რჩებიან... ევაკუაციის შესახებ გაფრთხილება შეიარღვეული ძალების წარმომადგენლებს არ ათავისუფლებს ვალდებულებისგან, რომ გამოიყენონ ყველა პრაქტიკულად შესაძლო სიფრთხილის ღონისძიება, რათა დაცივან მოცემულ ზონაში მყოფი სამოქალაქო პირები და მათი ქონება.⁵⁵

'პრაქტიკულად შესაძლებელი' სიფრთხილის ზომების ცნების მნიშვნელობა

ჟენევის კონვენციების I დამატებითი ოქმის 57-ე მუხლში გამოყენებული ტერმინები - 'პრაქტიკული შესაძლებლობის ფარგლებში' და 'ყველა პრაქტიკულად შესაძლებელი', კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმ ფაქტს, რომ სიფრთხილის ზომების მიღებისას შეიარღვეულ ძალებს შეუძლებელი ზომების მიღება არ ევალებათ. ერთი შეხედვით, ამ წესის მოთხოვნები უდავო ჭეშმარიტებას წარმოადგენს, თუმცა, ამ დებულების ფორმულირება და საბრძოლო მოქმედებების ჭრილში მისი პრაქტიკული მნიშვნელობა მაინც დავის საგანს წარმოადგენს. ჟენევის კონვენციების I დამატებითი ოქმის ხელმოწერისას ბრიტანეთის დელეგაციამ ეს დებულება საკმაოდ ფართოდ განმარტა და განაცხადა, რომ ეს ვალდებულება თავდასხმის დროს შექმნილი ფაქტობრივი გარემოებების (მათ შორის სამხედრო ოპერაციების წარმატებისთვის მნიშვნელოვანი ასპექტების) გათვალისწინებით ყველა შესაძლო და პრაქტიკულად შესაძლო ღონისძიებას მოიცავდა. ძირითად სირთულეს სწორედ სამხედრო ოპერაციების წარმატების მოთხოვნები ქმნიდა: ერთი შეხედვით, ასეთი ინტერპრეტაცია შესაძლებელს ხდიდა, რომ შეიარღვეული კონფლიქტის მხარეების სამხედრო ინტერესებს გადაეწონა ჰუმანიტარული საჭიროების მოთხოვნები.⁵⁶ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჟენევის კონვენციების I დამატებითი ოქმის რატიფიცირებისას დიდმა ბრიტანეთმა შეცვალა დეკლარაციის ტექსტი და დააზუსტა, რომ 'პრაქტიკულად შესაძლებელი' სიფრთხილის ზომების მიღებისას

⁵³ N. Sloutzky, 'Le bombardement aérien des objectifs militaires', RGDI, Vol. 61, 1957 (3), გვ. 372.

⁵⁴ ისრაელის თავდაცვის ძალებმა მანამდე გამოიყენეს ეს არგუმენტი: 1996 წლის 11 აპრილს, სამხრეთ ლიბანში იერიშის განხორციელებამდე ისრაელის თავდაცვის ძალებმა გააფრთხილეს სამოქალაქო მოსახლეობა, რომ თითოეული ადამიანი, რომელიც წინასწარ განსაზღვრული ვადის ამოწურვის შემდეგ კვლავ მოცემულ ზონაში დარჩებოდა, კანონიერ სამიზნედ ჩაითვლებოდა. იმის გათვალისწინებით, რომ მოსახლეობის უმრავლესობამ ტერიტორიის ევაკუაციაზე უარი განაცხადა, ისრაელის შეიარღვეულმა ძალებმა თავი შეიკავეს მთლიანი ზონის სამხედრო სამიზნედ განხილვისაგან და იერიში ზუსტად განსაზღვრულ სამხედრო სამიზნეებზე მიიტანეს. ეს მოსახლეობის სრული ევაკუაციის შემთხვევაშიც კი ბრძოლის ერთადერთი კანონიერი მეთოდი იქნებოდა.

⁵⁵ ლიბანისთვის შექმნილი საგამომიებო კომისიის ანგარიში, იხილეთ 49-ე სქოლიო, 151-ე და 158-ე პარაგრაფები.

⁵⁶ ჟენევის კონვენციების I დამატებითი ოქმის კომენტარები (გვ. 681-2, 2198-ე პარაგრაფი).

სამხედრო აუცილებლობის მოთხოვნებთან ერთად ჰუმანიტარული საჭიროებებიც უნდა იყოს გათვალისწინებული'.⁵⁷

‘პრაქტიკულად შესაძლებელ’ ზომებზე საუბრისას მნიშვნელოვანია დაკონკრეტდეს, ახდენს თუ არა ეს ფაქტორი გავლენას სამხედრო ოპერაციების დროს დაშვებული შეცდომების კანონიერების საკითხზე. მაგალითად, ცალკეულ შემთხვევებში კეთილსინდისიერად მოძიებული და შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე შესაძლებელია ჩაითვალოს რომ ცალკეული ობიექტი კანონიერ სამხედრო სამიზნეს წარმოადგენს; სინამდვილეში კი ეს ობიექტი სრულიად სამოქალაქო ხასიათისაა. სხვა შემთხვევებში, იარაღის სისტემების გაუმართავობის გამო შესაძლებელია იდენტიფიცირებული სამხედრო სამიზნის წინააღმდეგ გახსნილმა ცეცხლმა გადაუხვიოს სამიზნეს და დააზიანოს ისეთი ობიექტები, რომელთა დამიზნებაც შეიარაღებული კონფლიქტის მხარეს არ ჰქონდა წინასწარ განზრახული. ამ საკითხთან დაკავშირებით არსებული მიდგომების შეჯერების შედეგად შეიძლება ითქვას, რომ:

სიფრთხილის ზომების მიღების ვალდებულება აბსოლუტური ხასიათის არ არის. პრაქტიკული ზომების მიღების პროცესში საჭიროა კეთილსინდისიერების მოთხოვნების დაცვა; თუმცა, კეთილსინდისიერად მოქმედმა ადამიანებმაც შესაძლოა დაუშვან შეცდომები.⁵⁸

ამრიგად, ზემოხსენებული სიტუაციის სამართლებრივი შეფასების საფუძველზე შესაძლებელია მკაფიოდ გაიმიჯნოს ერთის მხრივ დაუდევრობა, რომელიც არღვევს საერთაშორისო სამართლის მოთხოვნებს და მეორეს მხრივ შეცდომა, რომელსაც ყველა პრაქტიკულად შესაძლო სიფრთხილის ზომის მიღების მიუხედავად ჰქონდა ადგილი. საერთაშორისო სამართლის მოთხოვნებთან შეუსაბამო დაუდევრობა გამოიწვევს სახელმწიფოს პასუხისმგებლობას (რომელიც უნდა გაიმიჯნოს ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან), ხოლო შეცდომა - არა.

ყოფილი იუგოსლავიის ფედერაციული რესპუბლიკისთვის შექმნილი საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალის პროკურორის მიერ შექმნილმა კომიტეტმა თავის ანგარიშში NATO-ს მიერ ყოფილი იუგოსლავიის ფედერაციული რესპუბლიკის ტერიტორიაზე განხორციელებული დაბომბვების შეფასებისას აღნიშნა, რომ:

სამხედრო სამიზნეებისა და სამოქალაქო ობიექტების გამიჯვნის მიზნით შეიარაღებული კონფლიქტის მხარეების მიერ სათანადო სიფრთხილის ზომების მიღების მოთხოვნებთან შესაბამისობის საკითხის შეფასება მხოლოდ ერთი ინციდენტის ანალიზის საფუძველზე არ უნდა მოხდეს. თუკი სიფრთხილის ზომები უმეტეს შემთხვევაში ადექვატურად გამოიყენებოდა, მაშინ გამონაკლის შემთხვევებში ამ ზომების წარუმატებლობის გამო ავტომატურად არ უნდა ჩაითვალოს, რომ შეიარაღებული კონფლიქტის მხარე ზოგადად არაადექვატურად იყენებდა სიფრთხილის ღონისძიებებს.⁵⁹

თუმცა, ეს ციტატა ისე არ უნდა იქნეს გაგებული, თითქოს დარღვევების არსებობა შეუძლებელი იქნება, თუკი შეიარაღებული კონფლიქტის მხარე ზოგადად იცავდა სიფრთხილის ზომების გამოყენების წესებს. სიფრთხილის ზომების არასათანადოდ გამოყენების შემთხვევების შეფასება დებულების ფართოდ ინტერპრეტაციის საფუძველზე უნდა მოხდეს. თუმცა, ამავდროულად, ცალკეული ინციდენტების ანალიზიც აუცილებელი იქნება. ზემოთ მოყვანილი ციტატის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ სიფრთხილის ზომების გამოყენებამ ცალკეულ შემთხვევებში სამოქალაქო მსხვერპლი და სამოქალაქო ობიექტების დაზიანება გამოიწვია. შესაბამისად, აუცილებელია ამგვარი სიფრთხილის ზომების მიღების მიზანშეწონილობის საკითხის

⁵⁷ დებულების ამგვარი განმარტება ხელშეკრულების რატიფიცირებისას სხვა სახელმწიფოებმაც გამოიყენეს (ბელგია, ესპანეთი და იტალია). ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ეს წესი კონვენციური იარაღების შესახებ 1980 წლის კონვენციის განახლებული II დამატებითი ოქმის მე-3(10) მუხლშიც გაითვალისწინეს.

⁵⁸ William J. Fenrick, ‘Targeting and proportionality during the NATO bombing campaign against Yugoslavia’, EJIL, Vol. 12(3) (2001), გვ. 501.

⁵⁹ იხილეთ ყოფილი იუგოსლავიის ფედერაციული რესპუბლიკისთვის შექმნილი საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალის პროკურორის მიერ შექმნილი კომიტეტის ანგარიში, 1999 წლის 24 მარტი, ILM, Vol. 39 (5) (2000), 29-ე პარაგრაფი.

გადასინჯვა, რათა მომავალში თავიდან იქნეს აცილებული სამოქალაქო მოსახლეობაში გამოწვეული მსხვერპლი და ზიანი.⁶⁰

თავდასხმის ადრესატი მხარის მიერ გასათვალისწინებელი სიფრთხილის ზომები

შეიარაღებული კონფლიქტის მხარეს, რომლის წინააღმდეგაც თავდასხმა ხორციელდება, ეკრძალება სამხედრო სამიზნეებისა და ოპერაციების ისეთი ხერხებით დაცვა, რომლებიც მოწინააღმდეგე მხარეს ხელს შეუშლის საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლით გათვალისწინებული ვალდებულებების სათანადოდ შესრულებაში. ერთი შეხედვით, სადავო საკითხია, განეკუთვნება თუ არა ეს აკრძალვა სიფრთხილის ზომების მიღების ზოგად ვალდებულებას (ეს აკრძალვა გათვალისწინებულია ქენევის კონვენციების I დამატებითი ოქმის 57(7) მუხლში, ხოლო სიფრთხილის ზომები სხვა დებულებაშია გაწერილი). თუმცა, ვინაიდან თავდასხმის ადრესატი მხარის მიმართ მოქმედი აკრძალვა სამოქალაქო მოსახლეობის დაცვის მიზანს ემსახურება, მიზანშეწონილია, რომ ის სიფრთხილის ზომების კონტექსტში განიხილებოდეს. ცოცხალი (ადამიანთა) ფარის გამოყენების აბსოლუტურ აკრძალვასთან ერთად, შეიარაღებული კონფლიქტის მხარემ თავდასხმის განხორციელებისას უნდა გამოიყენოს ქენევის კონვენციების I დამატებითი ოქმის 58-ე მუხლით გათვალისწინებული სიფრთხილის ზომები.

ცოცხალი ფარის გამოყენების აბსოლუტური აკრძალვა

სამოქალაქო მოსახლეობის, ცალკეული სამოქალაქო პირების ან სამოქალაქო ობიექტების გარკვეული სამხედრო რაიონების ან პუნქტების საბრძოლო მოქმედებებისაგან დასაცავად გამოყენების აკრძალვა

ცოცხალი ფარის გამოყენების აკრძალვა უხსოვარი დროიდან იღებს სათავეს.⁶¹ თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შესაბამისი სახელმეკრულებო ნორმა დიდი ხნის განმავლობაში არ არსებობდა. 1949 წლის ქენევის III კონვენციის მე-19 მუხლის თანახმად, შეიარაღებული კონფლიქტის მხარეები ვალდებული არიან უზრუნველყონ სამხედრო ტყვეების ევაკუაცია საბრძოლო მოქმედებების ზონიდან დაშორებულ სამხედრო ბანაკებში, სადაც მათ სიცოცხლესა და ჯანმრთელობას საფრთხე არ დაემუქრება.⁶² ამავე კონვენციის 23-ე მუხლი კიდევ უფრო არაორაზროვნად მიუთითებს, რომ დაუშვებელია მათი დაკავება ან გაგზავნა ისეთ ზონებში, სადაც საბრძოლო მოქმედებებისგან მომდინარე საფრთხე არსებობს. ასევე აკრძალულია გარკვეული პუნქტებისა და რაიონების თავდასხმებისგან დაცვის მიზნით სამხედრო ტყვეების გამოყენება. 1949 წლის ქენევის IV კონვენციის 28-ე მუხლის თანახმად, აკრძალულია გარკვეული სამხედრო რაიონებისა და პუნქტების შეიარაღებული თავდასხმებისგან დაცვის მიზნით კონვენციის დაცვით მოსარგებლე პირების გამოყენება. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ კონვენციების მოქმედების სფერო მნიშვნელოვნად

⁶⁰ Robert Cryer, 'The fine art of friendship', *Journal of Conflict and Security Law*, Vol. 7(1) (2002), გვ. 51-2.

⁶¹ ასეთი ქმედებებისთვის საერთაშორისო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესების მცდელობა წარმატებული აღმოჩნდა. ცოცხალი ფარების გამოყენების აკრძალვა 1919 წლის 29 მარტის ანგარიშში გაითვალისწინა კომისიამ რომელსაც *inter alia* ევალეობდა გერმანიის იმპერიის შეიარაღებული ძალებისა და მათი მოკავშირეების მიერ ჩადენილი დანაშაულების იდენტიფიცირება (Miguel A. Martin, 'The evolution and present status of the laws of war', RCADI (1947-II), გვ. 678).

⁶² ევაკუაციის ვალდებულება ერთ გამონაკლისს ითვალისწინებს, როდესაც ჭრილობების გამო მიზანშეწონილი არ არის სამხედრო ტყვის გადაადგილება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამხედრო ტყვეების დაცვის ვალდებულება მათი ტყვედ აყვანისა და ევაკუაციას შორის არსებულ დროის პერიოდსაც მოიცავს. დროის ამ მონაკვეთში აკრძალულია მათი სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემქმნელი მოპყრობა.

ზღუდავს ამ დებულებების გამოყენების შესაძლებლობას. ცოცხალი ფარების გამოყენების აკრძალვა სრულად (მათ შორის მთელ სამოქალაქო მოსახლეობაზე და ყველა სამოქალაქო პირებზე) მხოლოდ ჟენევის კონვენციების I დამატებითი ოქმის 57(7) მუხლში იქნა გაწერილი. ამ დებულების თანახმად: სამოქალაქო მოსახლეობის ან ცალკეული სამოქალაქო პირების ყოფნა ან გადაადგილება არ უნდა იყოს გამოყენებული გარკვეული რაიონების ან პუნქტების საომარი მოქმედებებისაგან დასაცავად, კერძოდ, სამხედრო სამიზნეების თავდასხმისაგან დაცვის ან საომარი მოქმედებების შენიღბვის, მათი ხელშეწყობის ან შეფერხების მიზნით. კონფლიქტის მონაწილე მხარეებმა სამოქალაქო მოსახლეობის ან ცალკეული სამოქალაქო პირების გადაადგილება არ უნდა წარმართონ თავდასხმებისაგან სამხედრო სამიზნეების დაცვის ან დაფარვის მიზნით.⁶³

ამ დებულების ტექსტი საკმაოდ ჭკვიანურად არის ფორმულირებული. აკრძალვა მოიცავს როგორც სამოქალაქო მოსახლეობის სამხედრო სამიზნეების დაცვის მიზნით გადაადგილებას, ასევე უფრო 'ვერაგულ' შემთხვევებს. ჟენევის კონვენციების I დამატებითი ოქმის 51(7) მუხლი ითვალისწინებს სამოქალაქო მოსახლეობის სამხედრო მოქმედებების ზონაში გადაადგილების შემთხვევებს და სამხედრო სამიზნეების სამოქალაქო პირებით დასახლებულ ზონებში ან მის მახლობლად განლაგებას (მაგალითად, სამხედრო არტილერიის ნაწილის სკოლის ეზოში ან დასახლებულ ზონებში განთავსება). ცალკეულ შემთხვევებში ასეთი ქმედება შესაძლებელია შეუთავსებელი იყოს შეიარაღებული კონფლიქტის მხარის ვალდებულებასთან - დასახლებული ზონების მახლობლად არ განთავსოს სამხედრო სამიზნეები (ეს მოთხოვნა უფრო დეტალურად შემდეგ ქვეთავებში იქნება განხილული). ასეთ შემთხვევებში სამოქალაქო მოსახლეობის ფარად გამოყენების განზრახვა შესაძლოა დამამძიმებელ გარემოებად იქნეს განხილული. ჟენევის კონვენციების I დამატებითი ოქმის 51(7) მუხლი კრძალავს სამოქალაქო მოსახლეობის გადაადგილებას, თუკი ეს ქმედება სამხედრო ოპერაციების დაცვის მიზანს ემსახურება. ამ დებულების წყალობით ცალკეული პირების დაცვის მიზანი მთელ სამოქალაქო მოსახლეობაზე ვრცელდება. ამრიგად, ამ აკრძალვის მოქმედების სფერო საგრძნობლად ფართოვდება და მაქსიმალურად ბევრ შემთხვევაზე გავრცელდება.⁶⁴ ვინაიდან ეს წესი სახელმწიფოებისგან ზოგადი მხარდაჭერით სარგებლობს, უმნიშვნელო წინააღმდეგობის მიუხედავად, შეიძლება ითქვას, რომ ეს აკრძალვა ჩვეულებით საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალს განეკუთვნება, როგორც საერთაშორისო, ისე არასაერთაშორისო ხასიათის კონფლიქტებში.⁶⁵

რთული სათქმელია, თუ რა ფორმით უნდა მოხდეს რეაგირება ასეთ უკანონო ქმედებებზე. როგორ უნდა მოიქცეს სამხედრო მეთაური, როდესაც მოწინააღმდეგე მხარე სამხედრო სამიზნეების დაცვის მიზნით ცოცხალი ფარების გამოყენებას გადაწყვეტს? პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ ასეთ შემთხვევებში ცოცხალი ფარების გამოყენებით დაცულ სამხედრო სამიზნეზე თავდასხმა კანონიერი იქნება. სხვაგვარად, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მოთხოვნების დარღვევის შედეგად სამხედრო ობიექტი თავდასხმებისგან დაცული იქნებოდა. ამრიგად, შეიარაღებული კონფლიქტის მხარე სამართლის მოთხოვნების განზრახ უგულებელყოფის

⁶³ ჟენევის კონვენციების II დამატებითი ოქმი მსგავს დებულებას არ ითვალისწინებს; მე-5(2) მუხლის თანახმად, შეიარაღებული კონფლიქტის მხარეს ეკრძალება ინტერნირებისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებების საბრძოლო მოქმედებების ზონების მახლობლად განლაგება.

⁶⁴ Fight in Right, იხილეთ 33-ე სქოლიო, გვ. 58, 1003.2-ე პარაგრაფი. ცოცხალი ფარების გამოყენების აკრძალვა კონკრეტული სამხედრო ოპერაციის კონტექსტში უნდა განიმარტოს. მაგალითად, სამოქალაქო მოსახლეობის ცოცხალ ფარად გამოყენებად არ ჩაითვლება დაცული ქალაქებისა და ალყაში მოქცეული დასახლებული ტერიტორიები, სადაც სამოქალაქო მოსახლეობას გადაადგილების თავისუფლება ეზღუდება.

⁶⁵ სხვადასხვა ქვეყნების სამხედრო სახელმძღვანელო პრინციპები ითვალისწინებს ჟენევის კონვენციების I დამატებითი ოქმის 51(7) მუხლის მსგავს დებულებას; იხილეთ Henckaerts and Doswald-Beck, მე-8 სქოლიო, Vol. II (Practice), Part 2, გვ. 2285-2302. ამასთან, რომის სტატუტის მე-8(2)(b)(xxiii) მუხლი ცოცხალი ფარების გამოყენებას ომის დანაშაულების ჩამონათვალში ითვალისწინებს. სამწუხაროდ, სტატუტი არ ითვალისწინებს ცოცხალი ფარების არასაერთაშორისო ხასიათის კონფლიქტებში გამოყენების შემთხვევებს. მართალია, სპეციალური ჩანაწერის არარსებობა არ გამორიცხავს არასაერთაშორისო კონფლიქტებში ჩადენილი ქმედებების აკრძალვასაც; თუმცა, სტატუტი მაინც ღიად ტოვებს ასეთ შემთხვევებში ცოცხალი ფარების გამოყენების კრიმინალიზების საკითხს.

წყალობით უპირატესობას მოიპოვებდა; რაც, თავის მხრივ წახალისებდა შემდგომ დარღვევებს. სავსებით გასაგებია, რომ სახელმწიფოები ამგვარ პრაქტიკას მხარს არ დაუჭერდნენ.⁶⁶ ამასთან, სამართლებრივი მიდგომა დიპლომატიურ და სამხედრო პრაქტიკასაც შეესაბამება. ავსტრალიის სამხედრო სახელმძღვანელო პრინციპების თანახმად, სამხედრო ობიექტზე თავდასხმა მაშინაც კი ნებადართული იქნება, როდესაც მას სამოქალაქო პირებისგან ფორმირებული ცოცხალი ფარი იცავს.⁶⁷ ანალოგიურად, 1991 წლის სპარსეთის ყურის ომის დროს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ერაყის პრეზიდენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილების მიუხედავად (მოკავშირეთა მიერ განხორციელებული სამხედრო იერიშებისაგან სტრატეგიული ობიექტების დაცვის მიზნით მათ მახლობლად სამოქალაქო პირების განლაგება) ამერიკის შეერთებული შტატები მაინც განახორციელებდა იერიშს.⁶⁸

ცოცხალი ფარის გამოყენებით დაცულ სამხედრო სამიზნეებზე კანონიერი იერიშის განხორციელებისას შეიარაღებული კონფლიქტის მხარემ უნდა დაიცვას რამდენიმე პირობა. ეს წინაპირობები ცალსახად არის გაწერილი ჟენევის კონვენციების I დამატებითი ოქმის 51(8) მუხლში, რომლის თანახმადაც, შეიარაღებული კონფლიქტის მხარეს სამოქალაქო მოსახლეობის მიმართ არსებული ვალდებულებებისგან მოწინააღმდეგე მხარის მიერ ჩადენილი ვერანაირი დარღვევა ვერ გაათავისუფლებს. კერძოდ, თავდასხმის განხორციელებისას სამხედრო მეთაურმა უნდა მიმართოს ყველა აუცილებელ სიფრთხილის ზომას, რათა შეამციროს თავდასხმის შედეგად სამოქალაქო მოსახლეობაში გამოწვეული მსხვეპრლი და ზიანი.⁶⁹ ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ეს დებულება ნათლად მიუთითებს ჟენევის კონვენციების I დამატებითი ოქმის 57-ე მუხლზე, რომლის მოქმედებაც ცოცხალი ფარების გამოყენების შემთხვევებზეც ვრცელდება. ეს დებულება ავალდებულებს შეიარაღებული კონფლიქტის მხარეს შეარჩიოს ისეთი საბრძოლო მეთოდები და საშუალებები, რომელთა გამოყენებაც უზრუნველყოფს ცოცხალი ფარის შემადგენელ სამოქალაქო

⁶⁶ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ განსხვავებული მოსაზრებაც არსებობს. მაგალითად, მეოცე საუკუნის ჩრდილო-აფრიკელი იურისტი იბნ ხალილი აღნიშნავს, რომ 'თუკი მოწინააღმდეგე მხარე ქალებისა და ბავშვების გამოყენებით იცავს სამხედრო სამიზნეს, თავდასხმა არ უნდა განხორციელდეს, თუკი მნიშვნელოვანი საფრთხე არ არსებობს' (ციტირებულია ნაშრომში: Marcel Boisard, 'De certaines regles islamiques concernant la conduite des hostilities et la protection des victimes de conflicts armes', *Annales d'etudes internationales*, Vol. 8 (1977), გვ. 152). ასეთი ქმედებების კანონიერების საკითხზე სხვა ავტორებიც დაობენ. მათი აზრით, ნებისმიერი ადამიანი შეიძლება აღმოჩნდეს ცოცხალი ფარის ნაწილი და ასეთ შემთხვევებში მათი მიზანი ნამდვილად არ იქნება თავდასხმის პროვოცირება, რადგან ისინი მხოლოდ უდანაშაულო მსხვერპლები არიან. ამ მოსაზრების ავტორი მიიჩნევს, რომ 'ვერანაირი სამხედრო აუცილებლობა ვერ დაარწმუნებს უდანაშაულო ადამიანს, რომ მისი სიკვდილი აუცილებელია. ამრიგად, თუკი ცალკეული წესის გამოყენების უშუალო ობიექტი არ ეთანხმება მის გამოყენებას, თანმიმდევრულობის მოთხოვნების გათვალისწინებით, მოცემული წესის გამოყენება იმ პირებზე არ უნდა იყოს დამოკიდებული, რომლებიც მისი გამოყენების შემთხვევაში უშუალოდ არ დაზარალებიან' (Eric David, *Principles de droit des conflicts armes*, Bruylant, Brussels, 1994, გვ. 242). ეს არგუმენტი არც თუ ისე მნიშვნელოვანია, რადგან ნაკლებად წარმოსადგენია, რომ რიგით სამოქალაქო პირს პოტენციური სამხედრო სამიზნის დაცვის სურვილი გააჩნდეს! საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი (სამოქალაქო მოსახლეობის საბრძოლო მოქმედებებისაგან დაცვა) მოითხოვს, რომ არსებითად დაბალანსებული იყოს სამოქალაქო მოსახლეობისა და სახელმწიფოსაკანონიერი ინტერესები. ავტორის არგუმენტაციის თანახმად, ზედმეტად წინ არის წამოწეული სამოქალაქო მოსახლეობის ინტერესები და არაჯეროვნად არის გათვალისწინებული სახელმწიფოს პოზიცია.

⁶⁷ ავსტრალიის თავდაცვის სახელმძღვანელო პრინციპები, იხილეთ 26-ე სქოლიო, 550-ე პარაგრაფი: 'იდენტიფიცირებული სამხედრო სამიზნის მახლობლად (ნებაყოფლობით ან ცოცხალი ფარის ფორმით) ყოფნა მხოლოდ ერთერთია იმ ფაქტორთაგან, რომელიც სამხედრო იერიშის დაგეგმვისას უნდა იქნეს გათვალისწინებული.'

⁶⁸ 'Department of Defense Report to Congress on the Conduct of Persian Gulf War', იხილეთ მე-20 სქოლიო, გვ. 618.

⁶⁹ ეს ვალდებულება უძველეს ისტორიულ დოკუმენტებშიც გვხვდება. მაგალითად, არაბული ტექსტი ითვალისწინებს ჰიპოთეტურ შემთხვევას, როდესაც ქალაქს მუსლიმი ბავშვები იცავენ. ამრიგად, თავდასხმა (შუბების გამოყენებითაც კი) კანონიერი იქნება, თუკი თავდასხმა მხოლოდ ტერიტორიის მაცხოვრებლების წინააღმდეგ განხორციელდება და არა ბავშვებზე. ამრიგად, სამხედრო იერიშის კანონიერების შეფასებისას მნიშვნელოვანი იყო თავდასხმის განმახორციელებელი მხარის განზრახვა. იხილეთ Shaybani's Siyar, მთარგმნელები, Majid Khadduri, Johns Hopkins Press, Baltimore, 1966, გვ. 102, 118-119, 120-121 პარაგრაფები.

პირებში მსხვერპლის მაქსიმალურად თავიდან აცილებას ან შემცირებას. ამასთან, თავდასხმის განმახორციელებელ მხარეს მოეთხოვება ამოარჩიოს ალტერნატიული სამხედრო სამიზნე, რომელსაც ცოცხალი ფარი არ იცავს და რომლის განადგურებაც მსგავს სამხედრო უპირატესობას მოუტანს. სამხედრო მეთაური ვალდებული იქნება შეარჩიოს თავდასხმის ალტერნატიული მეთოდი, რომლის გამოყენებითაც შესაძლებელი იქნება სამხედრო სამიზნის მახლობლად მყოფი სამოქალაქო პირების დაზოგვა. მოწინააღმდეგე მხარის მიერ ცოცხალი ფარის გამოყენება შეიარაღებული ძალებისთვის მნიშვნელოვნად ართულებს მოცემულობას და განსაზღვრავს საჭირო სიფრთხილის ზომების ფარგლებს, რომელთა გამოყენებაც აუცილებელი იქნება საფრთხის ქვეშ მყოფი სამოქალაქო მოსახლეობის ფუნდამენტური უფლებების დასაცავად. თუმცა, სამხედრო კონტექსტის გათვალისწინებით მაინც მნიშვნელოვანი იქნება სიფრთხილის ზომების დაცვა და ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანია იმ რისკთაგან, რომლებთან გამკლავებაც მხარეებს შეიარაღებული კონფლიქტის დროს უხდებათ.⁷⁰

A priori, სიფრთხილის ზომების მიღებისას შეიარაღებული კონფლიქტის მხარეებმა პროპორციულობის პრინციპის მოთხოვნებიც უნდა გაითვალისწინონ. თუმცა, ამ საკითხთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრებები არსებობს. პროპორციულობის პრინციპი მოითხოვს ერთის მხრივ თავდასხმის თანმდევი სამოქალაქო მსხვერპლისა და სამოქალაქო ობიექტებისთვის მიყენებული ზიანისა და მეორეს მხრივ სამხედრო იერიშის შედეგად მოპოვებული უშუალო და კონკრეტული სამხედრო უპირატესობის თანაფარდობას. ამრიგად, ასეთ შემთხვევებში პროპორციულობის პრინციპის გამოყენება იმ მხარის სასიკეთოდ გადაიხრებოდა, რომელიც ცოცხალ ფარს იყენებს და მნიშვნელოვნად დააზარალებდა თავდასხმის განმახორციელებელი მხარის ინტერესებს, რომელიც სამართლის მოთხოვნების ფარგლებში მოქმედებდა. ეს სირთულე დაუძლეველი არ არის. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზემოხსენებული ფაქტორი შეიარაღებული კონფლიქტის მხარეს პროპორციულობის ფუნდამენტური პრინციპის უგულვებელყოფის უფლებას არ აძლევს. ამ სრთულის დაძლევის მიზნით სხვადასხვა ავტორები მიიჩნევენ, რომ თავდასხმის განხორციელებაზე პასუხისმგებელი მეთაურის მიერ სამხედრო იერიშის თანმდევი ზიანის შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იყოს მოწინააღმდეგე მხარის ვერაგული ქმედება. ეს (მისაღები) მიდგომა ასახულია გაერთიანებული სამეფოს *შეიარაღებული კონფლიქტების სამართლის სახელმძღვანელო პრინციპებში*:

მოწინააღმდეგე მხარის მიერ ამ წესის დარღვევის ყველა შემთხვევა არ გაათავისუფლებს თავდასხმის განმახორციელებელ მხარეს სამოქალაქო მოსახლეობის დაცვის მიზნით სიფრთხილის ზომების მიღების ვალდებულებისგან, თუმცა, თავდასხმის შედეგად გამოწვეული შემთხვევითი მსხვერპლისა თუ სამოქალაქო ობიექტებისთვის მიყენებული ზიანის მოსალოდნელ სამხედრო უპირატესობასთან მიმართებით შეფასებისას შესძლებელია გათვალისწინებული იყოს მოწინააღმდეგე მხარის უკანონო ქმედება.⁷¹

⁷⁰ Frits Kalshoven, 'Reaffirmation and Development of international Humanitarian Law', *Netherlands Yearbook of International Law*, 1978, გვ. 121. ავტორი მიიჩნევს, რომ 'სიფრთხილის ზომების მიღების ვალდებულება სამხედრო ოპერაციების გამარტივების მიზანს არ ემსახურება'.

⁷¹ UK Ministry of Defence, *The Manual of Law of Armed Conflict*, Oxford University Press, Oxford, 2005, გვ. 68, 5.22.1-ე პარაგრაფი. *Fight in Right*, იხილეთ 33-ე სქოლიო, გვ. 58, 1003.4-ე პარაგრაფი. 'თავდასხმაზე პასუხისმგებელი მეთაური ვალდებულია გამოიყენოს ყველა საშუალება, რათა დაიცვას სამოქალაქო მოსახლეობა, თუმცა, პროპორციულობის პრინციპის მოთხოვნების შესრულებისას მას უფლება აქვს გაითვალისწინოს მოწინააღმდეგე მხარის მეთაურის ქმედებები'. ამ სახელმძღვანელო პრინციპების ერთ-ერთი ავტორთაგანი მიიჩნევს, რომ 'პროპორციულობის პრინციპის ფარგლების შეფასებისას ტრიბუნალმა მოწინააღმდეგე მხარის მიერ განხორციელებული უკანონო ქმედებები თავდასხმის განმახორციელებელი მხარის სასარგებლოდ უნდა განიხილოს'. Rogers, იხილეთ 34-ე სქოლიო, გვ. 178-179. აგრეთვე იხილეთ Dinstein, მე-13 სქოლიო, გვ. 131: 'პროპორციულობის პრინციპი კვლავაც მნიშვნელოვანი იქნება. თუმცა, სამოქალაქო მოსახლეობისთვის მიყენებული ზიანის სტანდარტი შედარებით მსუბუქი უნდა იყოს. ამრიგად, სამხედრო უპირატესობასთან შეფარდებით სამოქალაქო მოსახლეობისთვის მიყენებული ზიანის შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იყოს, რომ ცოცხალი ფარის გამოყენების პირობებში სამოქალაქო მოსახლეობაში გამოწვეული ზიანი ჩვეულებრივზე უფრო მეტი იქნება'.

პროპორციულობის პრინციპის კონტექსტში თანაფარდობის შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იყოს კიდევ ერთი პირობა: ერიკ დავიდის აზრით, თავდასხმის განხორციელებამდე მეთაური ვალდებული ქნება გამოიყენოს ყველა კანონიერი საშუალება, რათა მოწინააღმდეგე მხარის მეთაურს გადააფიქრებინოს ცოცხალი ფარის გამოყენება.⁷² ასეთი მიდგომა საკმაოდ გონივრულია და მიზანშეწონილია, რომ ეს პირობა ყველა მეთაურმა დაიცვას. თუმცა, ადვილი მისახვედრია, რომ ეს მორალური მოთხოვნა უფროა, ვიდრე სამართლებრივი. საკუთარი განზრახვის შესახებ მოწინააღმდეგე მხარის გაფრთხილების შემთხვევაში შეიარაღებული კონფლიქტის მხარე შესაძლოა სამხედრო უპირატესობის თვალსაზრისით არც თუ ისე სახარბიელო პოზიციაში აღმოჩნდეს. როგორც ზემოთ ვახსენეთ, ჟენევის კონვენციების I დამატებითი ოქმის თანახმად, გაფრთხილება აუცილებელია, თუკი 'შექმნილი ვითარების გათვალისწინებით შეუძლებელი არ არის'. სახელმწიფოების ეროვნული და საერთაშორისო პრაქტიკის დეტალური ანალიზი ცხადყოფს, რომ ერიკ დავიდის მიერ გახმოვანებული წინაპირობა საერთაშორისო ხელშეკრულებებიდან, სამხედრო სახელმძღვანელო პრინციპებიდან ან სახელმწიფოებისა თუ საერთაშორისო ორგანიზაციების ცალმხრივი ქმედებებიდან არ გამომდინარეობს. ამრიგად, რთული სათქმელია, რომ ეს წინაპირობა სამართლებრივად სავალდებულო ხასიათს ატარებს.

'ნებაყოფლობითი ცოცხალი ფარის' ცნება და მასთან დაკავშირებული სამართლებრივი ასპექტები

ბოლო პერიოდში პრაქტიკაში ახალი პრაქტიკა ჩამოყალიბდა. მედია ხშირად საუბრობს 'ნებაყოფლობით ცოცხალ ფარზე', ანუ სამოქალაქო პირებზე, რომლებიც ცალსახად სამხედრო დანიშნულებისა და ხასიათის მქონე სამხედრო სამიზნეების მახლობლად იმყოფებიან და ამ ფორმით უპირისპირდებიან ომს. ეს პირები, რომლებიც მზად არიან იდეალებისთვის საფრთხის ქვეშ ჩააგდონ თავიანთი სიცოცხლე, ხშირად მოწინააღმდეგე მხარის მოქალაქეები არიან. შესაბამისად, მათ სურთ დაიცვან თავიანთი სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების სამხედრო სამიზნეები. მაგალითად, 1999 წელს NATO-ს მიერ წარმოებული სამხედრო კამპანიის - 'მოკავშირე ძალების' დროს იუგოსლავიის მოქალაქეებმა დაიკავეს ბელგრადის ხიდები. ცოცხალი ფარი შესაძლოა შექმნან ნეიტრალური სახელმწიფოს ან მოწინააღმდეგე მხარის მოქალაქეებმაც. ასეთი შემთხვევების კლასიკური მაგალითია 2003 წელს მომხდარი შემთხვევა, როდესაც არასამთავრობო ორგანიზაციების ეგიდით მოქმედი სხვადასხვა ეროვნების პირები სამხედრო ოპერაციების დაწყებამდე ჩავიდნენ ერაყში, რათა განზრახ განლაგებულიყვნენ ერაყის მიერ შექმნილი სამხედრო სამიზნეების გარშემო.

ნებაყოფლობითი ცოცხალი ფარის მიმართ ჟენევის კონვენციების I დამატებითი ოქმის 51(7) მუხლის გამოყენების საკითხი საკმაოდ სადავოა. ამ მუხლის მნიშვნელობისთვის, სამოქალაქო მოსახლეობა ან კონკრეტული პირები იძულებულნი არიან, ან არ იციან, რომ შეიარაღებული კონფლიქტის მხარე მათ სამხედრო სამიზნეების თავდასხმისაგან დასაცავად იყენებს. შესაბამისად, რთული წარმოსადგენია, რომ ამ დებულების შემქმნელებმა გაითვალისწინეს ისეთი შემთხვევები, როდესაც სამოქალაქო პირები გააზრებულად და საკუთარი ინიციატივით შექმნიდნენ ცოცხალ ფარს. მიუხედავად ამისა, სამოქალაქო მოსახლეობის გადაადგილების ან განლაგების არამიზნობრივად 'გამოყენების' აკრძალვა მხოლოდ სამხედრო მეთაურების ქმედებებს არ კრძალავს. ამ მუხლის მოთხოვნა გავრცელდება სამხედრო მეთაურების გულგრილობაზეც, როდესაც ისინი სათანადოდ არ რეაგირებენ სამხედრო სამიზნეების დაცვის მიზნით სამოქალაქო პირების ნებაყოფლობით გადაადგილებაზე ან განლაგებაზე.⁷³

⁷² David, იხილეთ 53-ე სქოლიო, გვ. 242.

⁷³ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ტერმინი 'გადაადგილება' დებულების ტექსტში საგანგებოდ ჩაიწერა, რათა აკრძალვა სამოქალაქო მოსახლეობის ნებაყოფლობითი გადაადგილების შემთხვევებზეც გავრცელებულიყო. თუმცა, ასეთ შემთხვევებში არ უნდა ჩაითვალოს, რომ სამოქალაქო მოსახლეობას გააზრებული აქვს, რომ მათი

ნაკლებად ცალსახაა, თუ რა შემთხვევაში გაუტოლდება მოწინააღმდეგე მხარის მიერ ნებაყოფლობითი სამოქალაქო ფარის მიმართ პასიური დამოკიდებულება შეიარაღებული კონფლიქტის მხარის მიერ სამხედრო სამიზნეების დასაცავად სამოქალაქო მოსახლეობის გადაადგილების ან განლაგების შემთხვევას. რომის სტატუტით გათვალისწინებული დანაშაულების ელემენტების საკითხებზე მომუშავე კომისიის მიერ მომზადებულ დოკუმენტზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ ჟენევის კონვენციების I დამატებითი ოქმის 51(7) მუხლის ამოქმედებისთვის განმსაზღვრელი იქნება ცოცხალი ფარის გამოყენების შედეგად პრივილეგირებული მხარის განზრახვა.⁷⁴ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოწინააღმდეგე მხარის ქმედებებში სპეციალური განზრახვის იდენტიფიცირება ხშირად საკმაოდ დიდ სირთულეებთან იქნება დაკავშირებული. მიუხედავად ამისა, ცალკეულ შემთხვევებში შეიარაღებული კონფლიქტის მხარის განზრახვის ამოცნობა ფაქტობრივი მოცემულობის საფუძველზე იქნება შესაძლებელი. მაგალითად, შეიარაღებული კონფლიქტის მხარის განზრახვის იდენტიფიცირება რთული იქნება ისეთ შემთხვევებში, როდესაც სამხედრო მნიშვნელობის ხიდთან იკრიბება სამოქალაქო მოსახლეობა, რათა გააპროტესტონ მოწინააღმდეგე მხარის მიერ სხვა (მსგავსი) ხიდების დაბომბვის ფაქტი. თუმცა, თუკი ამავე ხიდზე სამოქალაქო მოსახლეობა კარგებს გაშლის და შეიარაღებული კონფლიქტის მხარე მსგავსი ქმედებების აღკვეთის მიზნით სათანადო ზომებს არ იღებს, მაშინ ასეთი უმოქმედობა აშკარად მიუთითებს განზრახვაზე, რომ სამოქალაქო მოსახლეობის ხიდზე ყოფნა სამხედრო სამიზნის თავდასხმისაგან დასაცავად გამოიყენოს. ბოროტი განზრახვის პრეზუმფცია კიდევ უფრო ძლიერი იქნება ისეთ შემთხვევებში, როდესაც შეიარაღებული ძალების წარმომადგენლები მოხალისე სამოქალაქო პირებს მიუთითებენ, თუ რომელი სამხედრო რაიონებია 'დასაცავი'.

ერთი შეხედვით, შეიძლება ჩაითვალოს, რომ ვერაგული განზრახვის არსებობას პრაქტიკული დატვირთვა არ აქვს, რადგან ჟენევის კონვენციების I დამატებითი ოქმის 58-ე მუხლი, რომელიც სამოქალაქო მოსახლეობის, ცალკეული სამოქალაქო პირებისა და სამოქალაქო ობიექტების სამხედრო სამიზნეებისგან გარიდების ვალდებულებას ითვალისწინებს, ცოცხალი ფარის საკითხსაც არეგულირებს. თუმცა, ჟენევის კონვენციების I დამატებითი ოქმის 51(7) მუხლის მოქმედების ფარგლების განსაზღვრა სამართლებრივი თვალსაზრისით მაინც მნიშვნელოვანია. პირველ რიგში, ცოცხალი ფარის გამოყენების აკრძალვა აბსოლუტური ხასიათისაა, ხოლო თავდასხმის განხორციელებისას სიფრთხილის ზომების მიღების ვალდებულება შედარებით უფრო ფარდობითია. ამასთან, ჟენევის კონვენციების I დამატებითი ოქმის 51(7) მუხლის დარღვევა ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხს უკავშირდება,⁷⁵ ხოლო 58-ე მუხლის დარღვევა - არა.

რაც შეეხება თავდასხმის განხორციელებაზე პასუხისმგებელ მეთაურს, იქონიებს თუ არა მოხალისეთა მიერ ორგანიზებული ცოცხალი ფარი გავლენას იდენტიფიცირებულ სამიზნეზე განსახორციელებელი იერიშის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესზე? ზოგიერთი ავტორი მიიჩნევს, რომ სამოქალაქო პირები, რომლებიც ნებაყოფლობით ქმნიან ცოცხალ ფარს, უშუალოდ

გადაადგილება სამხედრო სამიზნის დაცვის მიზანს ემსახურება (ჟენევის კონვენციების I დამატებითი ოქმის კომენტარები, გვ. 627, 1988-ე პარაგრაფი). ამ ცნების ფართო განმარტება რომის სტატუტის მე-8(2)(b)(xxiii) მუხლის პირველი ელემენტის ტექსტშიც აისახა: 'ზრალდებულმა გადაადგილა ან თავის სასიკეთოდ გამოიყენა ერთი ან რამდენიმე სამოქალაქო პირის ან საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლით გათვალისწინებული დაცვით მოსარგებლე სხვა პირის კონკრეტულ ადგილას ყოფნა' (არაზუსტი ციტატა).

⁷⁴ რომის სტატუტის მე-8(2)(b)(xxiii) მუხლის მეორე ელემენტი: 'ზრალდებულს სურდა ცოცხალი ფარის გამოყენებით სამხედრო სამიზნის დაცვა ან საომარი მოქმედებების შენიღბვა, მათი ხელშეწყობა ან შეფერხება'. Knut Dörmann, *Elements of War Crimes under the Rome Statute of International Criminal Court*, ICRC and Cambridge University Press, Cambridge, 2003. ავტორი მიუთითებს, რომ რამდენიმე ქვეყნის დელეგაციამ აღნიშნულ საკითხზე საგანგებოდ დააფიქსირა საკუთარი პოზიცია: 'ტერმინი 'მდებარეობის'-თვის არანარი მნიშვნელობა არ ჰქონდეს, თუ როგორ მოხვდნენ ცალკეული სამოქალაქო პირები ან დაცვით მოსარგებლე სხვა პირები კონკრეტულ ადგილას. სტატუტით გათვალისწინებული დანაშაულის მნიშვნელობისთვის განმსაზღვრელი ამ პირების გამოყენების მიზანი უნდა იყოს და არა მათი გადაადგილების ან ცალკეულ ადგილას განთავსების ფორმა'.

⁷⁵ რომის სტატუტის მე-8(2)(b)(xxiii).

მონაწილეობენ საბრძოლო მოქმედებებში; ასეთ შემთხვევაში, ეს პირები აღარ იქნებიან დაცულნი პირდაპირი თავდასხმისაგან და მეთაური, რომელიც თავდასხმის შესახებ იღებს გადაწყვეტილებას, ვალდებული არ არის რომ პროპორციულობის მოთხოვნების შეფასებისას გაითვალისწინოს ამ პირების მიმართ არსებული საფრთხე.⁷⁶ თუმცა, თუკი ვთანხმდებით, რომ საბრძოლო მოქმედებებში უშუალო მონაწილეობა მოწინააღმდეგე მხარისათვის უშუალო და იმწუთიერ საფრთხეს უნდა უკავშირდებოდეს, რთული წარმოსადგენია, რომ ნებაყოფლობითი ცოცხალი ფარის პასიური მონაწილეობა საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობას უტოლდება.⁷⁷ ამრიგად, უნდა ჩაითვალოს, რომ სამოქალაქო პირები, რომლებიც ნებაყოფლობით ქმნიან ცოცხალ ფარს, კვლავაც დაცული იქნებიან უშუალო თავდასხმისაგან. უფრო მეტიც, ნებაყოფლობითი ცოცხალი ფარის არსებობა არავითარ შემთხვევაში არ ათავისუფლებს შეიარაღებული კონფლიქტის მხარეს თავდასხმის განხორციელებისას პროპორციულობის პრინციპის მოთხოვნების დაცვის ვალდებულებისგან. პროპორციულობის ტესტის შეფასების პროცესში სამხედრო მეთაურმა უნდა გაითვალისწინოს ნებაყოფლობითი ცოცხალი ფარის მონაწილე ცალკეული სამოქალაქო პირების განზრახი და უპასუხისმგებლო ქმედებები. ამრიგად, არსებობს საფრთხე, რომ ეს პირები შესაძლოა ცოცხალი ფართ დაცულ სამხედრო სამიზნეზე განხორციელებული კანონიერი თავდასხმის მსხვერპლი აღმოჩნდნენ.

ქენეის კონვენციების I დამატებითი ოქმის 58-ე მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებები

დაგეგმილი თავდასხმის წინააღმდეგ სათანადო სიფრთხილის ზომების მიღების კლასიკური წესი თანამედროვე საბრძოლო მეთოდებისა და საშუალებების განვითარებასთან ერთად მოერგო ახალ რეალობას. თუმცა, შეიძლება ითქვას რომ ამ დროისთვის გარკვეულწილად მაინც ჩანასახოვანი ხასიათისაა. პირველი დოკუმენტები, რომლებიც ამ პრინციპზე მიუთითებდნენ, ალყაში მოქცეულ შეიარაღებული კონფლიქტის მხარეებს ავალდებულებდნენ, რომ სათანადოდ (ხშირად დროშების გამოყენებით) აღნიშნათ ცალკეული შენობები, რათა გაემარტივებინათ მათი იდენტიფიცირება და ამრიგად უზრუნველყოთ მოწინააღმდეგე მხარის მიერ განხორციელებული თავდასხმებისგან მათი დაცვა.⁷⁸ ტექნოლოგიური პროგრესისა (განსაკუთრებით კი საჰაერო ოპერაციების სფეროში) და მასთან ერთად გაზრდილი სამოქალაქო მსხვერპლისა თუ სამოქალაქო ობიექტებისთვის მიყენებული ზიანის გათვალისწინებით, ამკარა გახდა, რომ შენობების აღნიშვნის პრაქტიკა საკმაოდ არაეფექტური იყო. ამრიგად, საბრძოლო მოქმედებების მარეგულირებელი სამართლის

⁷⁶ Dinstein, იხილეთ მე-13 სქოლიო, გვ. 130; Schmitt, იხილეთ 30-ე სქოლიო, ავტორი არგუმენტს გადაჭრით არ აყალიბებს, თუმცა, არაპირდაპირ მაინც მიუთითებს, პრობლემის გადაჭრის ასეთ გზაზე. ის ეთანხმება პოზიციას, რომ ცოცხალი ფარის გამოყენების შედეგად გამოწვეული შემთხვევითი მსხვერპლი ან ზიანი არ უნდა იქნეს გათვალისწინებული (გვ.12).

⁷⁷ ასეთი ქმედების საბრძოლო მოქმედებებში უშუალო მონაწილეობასთან გათანაბრების შემთხვევაში შესაძლებელი იქნება ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად ცოცხალი ფარის მონაწილეების სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხის წამოწევა. 2003 წელს ერაყში ჩასული ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქეების წინააღმდეგ მართლაც დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა, თუმცა მხოლოდ შეიარაღებული კონფლიქტის დროს მოწინააღმდეგე მხარის ტერიტორიაზე მოგზაურობის ფაქტთან დაკავშირებით.

⁷⁸ Lieber Code განასხვავებდა საავადმყოფოებს, რომელთა აღნიშვნაც სავალდებულო იყო (115-ე მუხლი) და დაცვით მოსარგებლე სხვა ობიექტებს, როგორცაა ღვთისმსახურების, ხელოვნების, მეცნიერებისა და ქველმოქმედებისთვის განკუთვნილი შენობები და ისტორიული მონუმენტები, რომელთა აღნიშვნის წესიც მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათს ატარებდა (118-ე მუხლი). თუმცა, მოგვიანებით შემუშავებულ ტექსტებში მსგავს გამიჯვნას აღარ ვხვდებით, რადგან ზემოხსენებულ ობიექტებზე აღნიშვნის ვალდებულება სამართლებრივ ხასიათს ატარებს; კერძოდ, იხილეთ ბრიუსელის დეკლარაციის მე-17 მუხლი, ოქსფორდის სახელმძღვანელო პრინციპების 34-ე მუხლი და განსაკუთრებით, 1907 წლის ჰააგის კონვენციებზე თანდართული რეგულაციების 27-ე მუხლი.

გაუმჯობესების პროცესში აქცენტი შეიარაღებული კონფლიქტის მხარის კონტროლს დაქვემდებარებული სამოქალაქო მოსახლეობისა და სამოქალაქო ობიექტების დაცვის მიზნით სიფრთხილის ზომების მიღების ვალდებულების გაძლიერებაზე გაკეთდა. ამასთან, ეს მოთხოვნა თავდასხმის განმხორციელებელი მხარის მიერ გამოსაყენებელი უფრო ყოვლისმომცველი სიფრთხილის ზომების საპირწონეც არის. 1956 წელს მომზადებულ წესების პროექტით წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი 'პასიური' სიფრთხილის ზომების გაფართოების ინიციატივით გამოვიდა. წესების პროექტის მე-11 მუხლში, რომელიც სამ დამოუკიდებელ, თუმცა ურთიერთდაკავშირებულ სიფრთხილის ზომების კატეგორიას ითვალისწინებდა, ჟენევის კონვენციების I დამატებითი ოქმის 58-ე მუხლის კონტურები იქნა გაწერილი.

უპირველეს ყოვლისა, ჟენევის კონვენციების I დამატებითი ოქმის 58(a) მუხლის თანახმად, შეიარაღებული კონფლიქტის მხარეებს ევალებათ სამხედრო სამიზნეების მიმდებარე ტერიტორიებიდან გაარიდონ სამოქალაქო მოსახლეობა, ცალკეული სამოქალაქო პირები და სამოქალაქო ობიექტები. ეს დებულება ცალსახად მიუთითებს ჟენევის IV კონვენციის 49-ე მუხლზე, რომელიც კრძალავს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დაცული პირების დეპორტაციას და გადაადგილებას.⁷⁹ ამრიგად, აშკარაა, რომ ჟენევის კონვენციების I დამატებითი ოქმის შემქმნელებმა იმ დროისთვის უკვე გაითვალისწინეს სიფრთხილის ღონისძიებების არაპუმანიტარული მიზნებისთვის გამოყენების საფრთხე. თუმცა, ცხადია, რომ სამოქალაქო მოსახლეობისა და სამოქალაქო ობიექტების სამხედრო სამიზნეების მიმდებარე ტერიტორიებიდან გაყვანის ვალდებულება ჟენევის კონვენციების I დამატებითი ოქმის სულისკვეთების კონტექსტში უნდა განიმარტოს, რაც, საბრძოლო მოქმედებების შედეგად საფრთხის ქვეშ მყოფი სამოქალაქო მსოახლეობისა და ობიექტების დაცვაა. რა თქმა უნდა, ასეთ დროს ევაკუაციასთან დაკავშირებული ტრავმატული შედეგებიც უნდა უნდა იქნეს გათვალისწინებული.⁸⁰ აქედან გამომდინარე, ეს წესი მხოლოდ მაშინ გამოიყენება, როდესაც შეუძლებელი იქნება სამოქალაქო მოსახლეობის უსაფრთხოების სხვა გზებით უზრუნველყოფა და მხოლოდ იმ დრომდე, სანამ საფრთხე არსებობს.

ჟენევის კონვენციების I დამატებითი ოქმის 58(b) თანახმად შეიარაღებული კონფლიქტის მხარეები ვალდებული არიან არ განათავსონ სამხედრო სამიზნეები დასახლებულ რაიონებში ან მათ მიმდებარე ტერიტორიაზე. ეს ვალდებულება მშვიდობისა და შეიარაღებული კონფლიქტების დროს უძრავი სამხედრო სამიზნეების აგების ვალდებულებას უკავშირდება. მაგალითად, სამხედრო ყაზარმებისა და იარაღების საცავის საცხოვრებელ კომპლექსში განთავსების შედეგად შესაძლებელია მნიშვნელოვანი ზიანი მიადგეს ამ რაიონებში მცხოვრებ სამოქალაქო მოსახლეობას. ჟენევის კონვენციების I დამატებითი ოქმის 58(b) მუხლი მოძრავ სამხედრო სამიზნეებზეც (მაგალითად, ჯარი და სატრანსპორტო საშუალებები, რომლებიც იარაღით მომარაგებას უზრუნველყოფენ) ვრცელდება. გადაადგილების პროცესში სასურველია, რომ თავიდან იქნეს აცილებული მჭიდროდ დასახლებულ რაიონებში გავლა. თუკი ამ გზების გამოყენება გარდაუვალია, მაშინ ამ ზონებში გადაადგილება მაქსიმალურად სწრაფად უნდა მოხერხდეს და მათი განლაგება ისეთი ფორმით უნდა მოხდეს, რომ მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი სამოქალაქო მოსახლეობისა და სამოქალაქო ობიექტების მიმართ არსებული საფრთხე.

და ბოლოს, ჟენევის კონვენციების I დამატებითი ოქმის 58(c) მუხლი ითვალისწინებს ზოგად მოთხოვნას, რომ შეიარაღებული კონფლიქტის მხარეებმა გამოიყენონ 'ყველა აუცილებელი

⁷⁹ ჟენევის IV კონვენციის 49-ე მუხლი აკონკრეტებს, რომ იძულებითი გადაადგილებისა და დეპორტაციების ზოგადი აკრძალვა არ გამოიცხადებს მოსახლეობის უსაფრთხოების მოთხოვნებისა და სამხედრო აუცილებლობის შემთხვევაში მოსახლეობის სრული ან ნაწილობრივი ევაკუაციის დასაშვებობას.

⁸⁰ წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის კომენტარები, ჟენევის კონვენციების I დამატებითი ოქმი (გვ. 693, 2248-ე პარაგრაფი), რომლის თანახმადაც: 'ამ საკითხზე ოკუპანტ ძალას მხოლოდ შეზღუდული დისკრეცია გააჩნია. ის იძულებულია დაიცვას ჟენევის IV კონვენციის 49-ე მუხლის მოთხოვნები. ამ კონტექსტში გასათვალისწინებელი იქნება: სამხედრო აუცილებლობის მოთხოვნები, მოსახლეობის უსაფრთხოება, დაზარალებული პირების დაბინავებისთვის საჭირო დაწესებულებები, გადაადგილების დამაკმაყოფილებელი პირობები (ჰიგიენა, ჯანმრთელობა, უსაფრთხოება, საკვები, ოჯახის წევრების განცალკევების თავიდან აცილება, მფარველი სახელმწიფოს ინფორმირება და სხვა).

სიფრთხილის ღონისძიება, რათა სამხედრო მოქმედებების შედეგებისგან დაიცვან მათ კონტროლს დაქვემდებარებული სამოქალაქო მოსახლეობა, ცალკეული სამოქალაქო პირები და სამოქალაქო ობიექტები'. ეს დებულება უფლებას აძლევს შეიარაღებული კონფლიქტის მხარეს, რომ შექმნილი ვითარების (მათ შორის მის ხელთ არსებული საშუალებების) გათვალისწინებით მიიღოს სიფრთხილის დამატებითი ზომები. სახელმწიფოთა პრაქტიკა და დოქტრინა ითვალისწინებს საკმაოდ კარგ მაგალითებს, თუ რა სახის ზომები უნდა იქნეს გატარებული ამ დებულების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. ყველაზე უფრო ფართოდ გამოყენებულ სიფრთხილის ღონისძიებებს განეკუთვნება თავშესაფრების მშენებლობა, სამოქალაქო თავდაცვის ორგანიზაციების შექმნა⁸¹ და სამოქალაქო მოსახლეობის ინფორმირებისა (განგაში) და ევაკუაციის სისტემების გამართვა. სხვა ზომებს განეკუთვნება დაჭრილთა მკურნალობა, ხანძარსაწინააღმდეგო ზომები, გაზისაგან გაუვნებლყოფა, სახიფათო ზონების იდენტიფიცირება და მონიშვნა.⁸²

საბრძოლო მოქმედებების წარმოებისას სიფრთხილის ზომების მიღების ვალდებულება განსხვავების პრინციპის ლოგიკური გაგრძელებაა. სამხედრო სახელმძღვანელო პრინციპების უმეტესობა ჟენევის კონვენციების I დამატებითი ოქმის 58-ე მუხლის მსგავს ან იდენტურ ფორმულირებას ითვალისწინებს.⁸³ აღსანიშნავია, რომ თავად ეს დებულება საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნაწილია.⁸⁴ თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სიფრთხილის ზომების გატარების ვალდებულება თავდაპირველად 1974-1977 წლის დიპლომატიურ კონფერენციაზე და მის შემდეგაც მკაცრად გააკრიტიკეს, რადგან ზოგიერთი სახელმწიფო მიიჩნევდა, რომ ამ ვალდებულების შესრულება საკმაოდ რთული იქნებოდა. როდესაც მჭიდროდ დასახლებული სახელმწიფოები ურბანიზაციის პროცესში არიან, სიფრთხილის ზომების მიღების ვალდებულებაზე საუბარი მარტივია, თუმცა მისი პრაქტიკაში იმპლემენტაცია – საკმაოდ რთული.⁸⁵ ამ ვალდებულების გათვალისწინებას აქტიურ წინააღმდეგობას უწევდა შვეიცარიის კონფედერაცია: შვეიცარიის მთიანი

⁸¹ ეს საკითხი ჟენევის კონვენციების I დამატებითი ოქმის VI თავის ('სამოქალაქო თავდაცვა') IV ნაწილის I სექციას უკავშირდება. (სიფრთხილის ზომები IV თავშია გაწერილი).

⁸² ამ ზომების ჩამონათვალისთვის იხილეთ: *Fight it Right*, იხილეთ 33-ე სქოლიო, 78-ე გვერდი, 1201.c პარაგრაფი). ამ სახელმძღვანელო პრინციპების თანახმად, ჟენევის კონვენციების I დამატებითი ოქმის 58-ე მუხლის მოთხოვნების შესრულების პროცესში თანაბარი როლი ექნება როგორც სამოქალაქო ადმინისტრაციას, ისე შეიარაღებულ ძალებს. ამასთან, 58-ე მუხლი წარმოადგენს კლასიკურ მაგალითს, როდესაც დებულების იმპლემენტაციისთვის საჭირო იქნება ფინანსური სახსრების გამოყოფა და პრაქტიკული ზომების მიღება მშვიდობიან პერიოდში. მართალია, ცალკეულმა სამხედრო სამიზნეებმა შესაძლოა ფაქტობრივი გარემოებების შეცვლის გამო შეიცვალონ ხასიათი, თუმცა შეიარაღებული კონფლიქტის მხარეს მანც ევალება მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა საჭიროების შემთხვევაში ეფექტურად უზრუნველყოს სამოქალაქო მოსახლეობის დაცვა. ასეთ ზომებს განეკუთვნება დაცული ან დაუცველი მდებარეობების შექმნა, სადაც შესაძლებელი იქნება სამოქალაქო მოსახლეობის ევაკუაცია.

⁸³ სამხედრო პრაქტიკის მაგალითებისთვის იხილეთ Henckaerts and Doswald-Beck, მე-8 სქოლიო, Vol. II (Practice), Part 1, გვ. 419-450.

⁸⁴ ყოფილი იუგოსლავიის ფედერაციული რესპუბლიკისთვის შექმნილმა სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალმა აღნიშნა, რომ სიფრთხილის ზომების მიღების ვალდებულება ჩვეულებითი სამართლის ნაწილია. *Kupreskic Case*, ICTY, 14 January 2000, Judgment, 524-ე პარაგრაფი. ზოგიერთი ავტორი მიიჩნევს, რომ უკვე დიდი ხანია, რაც ეს ვალდებულება ჩვეულებით სამართალს განეკუთვნება. კერძოდ, იხილეთ Geoffrey Best, *War and Law since 1945*, Clarendon Press, Oxford, 1997, გვ. 330. წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის მიერ მომზადებული კვლევა საერთაშორისო ჩვეულებით ჰუმანიტარულ სამართალზე საერთაშორისო ხასიათის შეიარაღებულ კონფლიქტებში სიფრთხილის ზომების მიღების ვალდებულებას ჩვეულებითი სამართლის ნაწილად მიიჩნევს. თუმცა, დასაწყისად, რომ ეს დოკუმენტი არასაერთაშორისო ხასიათის კონფლიქტების დროს გასათვალისწინებელი სიფრთხილის ზომების საკითხს საკმაოდ ვიწროდ განიხილავს. ამ დოკუმენტის თანახმად, არასაერთაშორისო ხასიათის კონფლიქტებში შეიარაღებული კონფლიქტის მხარეებს ევალებათ მიიღონ სიფრთხილის ყველა შესაძლო ზომა, რათა თავდასხმის შედეგებისაგან დაიცვან მათ კონტროლს დაქვემდებარებული სამოქალაქო მოსახლეობა და სამოქალაქო ობიექტები (Henckaerts and Doswald-Beck, იხილეთ მე-8 სქოლიო, Vol. I (Rules), გვ. 68-76).

⁸⁵ 'ცალკეულ შემთხვევებში სამოქალაქო მოსახლეობის (და სამოქალაქო ობიექტების) და კომბატანტების (და სამხედრო სამიზნეების) აღრევის აღკვეთა შეუძლებელი იქნება. მაგალითად, დიდ ფართობზე გადაჭიმულ მეტროპოლიტენებში', Dinstein, იხილეთ მე-13 სქოლიო, გვ. 129.

ტოპოგრაფიის გამო სამოქალაქო მოსახლეობა მჭიდროდ არის დასახლებული დაბლობებზე, რომლებიც, თავის მხრივ, სასიცოცხლო ეკონომიკური და სამხედრო მნიშვნელობის რაიონებია. შესაბამისად, შეიარაღებული კონფლიქტის დროს საბრძოლო მოქმედებების ამ რაიონებში წარმოება სამოქალაქო მოსახლეობისა და სამოქალაქო ობიექტების არსებობის მიუხედავად გარდაუვალი იქნება.⁸⁶ სწორედ ამ მიზეზების გამო აღინიშნა, რომ სამხედრო სამიზნეების მიმდებარე ტერიტორიებიდან სამოქალაქო მოსახლეობის გაყვანის ვალდებულებისა და ასეთი ობიექტების მჭიდროდ დასახლებული რაიონების მახლობლად განლაგების აკრძალვის შესრულება რთული იქნებოდა.⁸⁷

როგორც უკვე აღინიშნა, სიფრთხილის ზომების მიღების ვალდებულება ფარდობითია და სწორედ ეს თავისებურება საჭიროებს დამატებით განხილვას. ჟენევის კონვენციების I დამატებითი ოქმი მოითხოვს, რომ სიფრთხილის ზომების გამოყენება 'შემდგომებისდაგვარად მაქსიმალურად' იქნეს უზრუნველყოფილი. ეს ასპექტი თავდასხმის განხორციელების დროს გამოსაყენებელი სიფრთხილის ზომების კონტექსტში უკვე განვიხილეთ. ტერმინი 'შემდგომებისდაგვარად მაქსიმალურად' ზედმეტად ფართოდ არ უნდა განიმარტოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, სამართლებრივი ვალდებულების ნაცვლად მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათის დებულების შინაარსს მიიღებს.⁸⁸

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჟენევის კონვენციების I დამატებითი ოქმში 58-ე მუხლით გათვალისწინებული სტანდარტები მხოლოდ სამხედრო მოქმედებებისთვის ხელის შეშლის მიზნით სამხედრო სამიზნეების დასახლებულ პუნქტებში განლაგების აკრძალვას არ გულისხმობს.⁸⁹ 58-ე მუხლს გაცილებით ფართო მოქმედების სფერო გააჩნია და მოითხოვს, რომ შეიარაღებული კონფლიქტის მხარემ, რომლის წინააღმდეგაც თავდასხმა ხორციელდება, კეთილსინდისიერად და წინასწარ მიიღოს საჭირო ზომები სამოქალაქო მოსახლეობისა და ობიექტების შეიარაღებული თავდასხმისგან დასაცავად.

დასკვნა

ხშირად აღნიშნავენ, რომ ჟენევის კონვენციების I დამატებითი ოქმი სიფრთხილის ზომების მიღების თვალსაზრისით თავდასხმის განმახორციელებელი მხარისა და თავდასხმის ადრესატი მხარისთვის

⁸⁶ ასეთი განსაკუთრებული ტოპოგრაფიული მოცემულობის გამო შვეიცარიის არმიას სამხედრო მეთაურთა შტაბების განლაგება საცხოვრებელი სახლების სარდაფებში უწევდა! სწორედ ამიტომ, შვეიცარიამ და ავსტრიამ (რომელსაც მსგავსი პრობლემა ჰქონდა) ეროვნული ტეროტორიის დაცვის უზრუნველსაყოფად ჟენევის კონვენციების I დამატებითი ოქმის 58-ე მუხლით გათვალისწინებული ტერმინის - 'შესაძლებლობის ფარგლებში მაქსიმალურად' ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით სპეციალური დეკლარაცია გააკეთეს. ამ დათქმაზე დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ: Maurice Aubert, 'Les réserves formulées par la Suisse', *Studies and Essays on International Humanitarian Law and Red Cross Principles in Honour of Jean Pictet*, ICRC/Martinus Nijhoff Publishers, Geneva/The Hague, 1984, გვ. 139-140, 144.

⁸⁷ ალყაში მოქცეული მდებარეობები ამ კონტექსტში უდავოდ ყველაზე პრობლემურ შემთხვევას წარმოადგენს. მაგალითად, ისრაელის შეიარაღებული ძალების მიერ დასავლეთ ბერიუთის ალყის ქვეშ მოქცევის დროს PLO-მ იარაღის სისტემები სამოქალაქო ობიექტების მახლობლად განალაგა. ამ შემთხვევაში ჟენევის კონვენციების I დამატებითი ოქმის 58-ე მუხლის დარღვევაზე საუბარი რთული იქნება, რადგან პრაქტიკულად შეუძლებელი იყო ამ შემთხვევაში სხვაგვარად მოქმედება.

⁸⁸ ამის დაკონკრეტება მნიშვნელოვანია. Dinstein, იხილეთ მე-13 სქოლიო, 'ვინაიდან შეიარაღებული კონფლიქტის მხარეებს ევალუბათ 'შემდგომებისდაგვარად მაქსიმალურად' უზრუნველყონ ამ დებულებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულება; ამიტომაც, სამხედრო მეთაურები ხშირად მიიჩნევენ, რომ ეს მოთხოვნა მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათისაა და არ არის შესასრულებლად სავალდებულო.

⁸⁹ ასეთი ქმედება უდავოდ არღვევს ჟენევის კონვენციების I დამატებითი ოქმის 58-ე მუხლის მოთხოვნებს. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ განზრახვის ელემენტის არსებობის გამო ასეთი ქმედება შესაძლოა 'სამხედრო მოქმედებების დაცვის, შეფერხებისა და ხელშეწყობის მიზნით' სამოქალაქო მოსახლეობის ან სამოქალაქო ობიექტების 'გამოყენების შემთხვევად ჩაითვალოს და ჟენევის კონვენციების I დამატებითი ოქმის 51(7) მუხლის მოქმედების სფეროშიც მოექცეს.

დაწესებული მოთხოვნები დაუბალანსებელია.⁹⁰ თუმცა, ეს ასე არ არის. განსხვავების პრინციპის მოთხოვნების დაცვის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებლობა ეკისრება, როგორც თავდასხმის ადრესატ მხარეს (რომელიც მის ტერიტორიაზე მყოფ სამოქალაქო მოსახლეობასა და სამოქალაქო ობიექტებზე ექსკლუზიურ კონტროლს ახორციელებს), ისე თავდასხმის განმახორციელებელ მხარეს (რომელიც დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებას, თუ რომელ სამიზნეზე მიიტანოს სამხედრო იერიში და ბრძოლის რა მეთოდები და საშუალებები გამოიყენოს).⁹¹ ამრიგად, სამოქალაქო მოსახლეობისა და სამოქალაქო ობიექტების დაცვა მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, თუ შეიარაღებული კონფლიქტის ორივე მხარე კეთილსინდისიერად ასრულებს სიფრთხილის ზომების მიღების მოთხოვნებს.

თუმცა, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ერთი მხარის მიერ სამართლის მოთხოვნების დაცვა მეორე მხარის ქმედებაზე დამოკიდებულია. შერეული პასუხისმგებლობა სულაც არ გულისხმობს, რომ თავდასხმის განმახორციელებელი მხარის მიერ სიფრთხილის ზომების მიღების ვალდებულების უგულებელყოფა თავდასხმის ადრესატს საკუთარი ვალდებულებებისგან ათავისუფლებს.⁹² ანალოგიურად, თუკი მხარე, რომლის წინააღმდეგაც თავდასხმა ხორციელდება ვერ შეძლებს შესაბამისი ვალდებულებების დაცვას, ის გარკვეულწილად მაინც იქნება

⁹⁰ W. Hays Parks, 'Air War and the Law of War', *Air Force Law Review*, Vol. 32(1) (1990), გვ. 112 (n. 351). ავტორის მოსაზრებით, მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო მოსახლეობისა და მათი საკუთრების დაცვაზე პასუხისმგებელი ყოველთვის თავდასხმის ადრესატი იყო, ჟენევის კონვენციების I დამატებითი ოქმით ეს ვალდებულება თავდასხმის განმახორციელებელ მხარეს დაეკისრა. პარკის პოზიცია მართებული არ უნდა იყოს, რადგან, გარდა იმისა, რომ სამოქალაქო პირებისა და საკუთრების დაცვა ყოველთვის შეიარაღებული კონფლიქტის მხარეების ერთობლივი ვალდებულებაა, მისი მოსაზრება საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ზოგად პრინციპებთანაც შეუთავსებელია. პარკის აზრით, ხშირად განიხილება, რომ სახელმწიფოები, რომლებიც თავდაცვის რეჟიმში იბრძვიან, თავდაცვის კანონიერ უფლებას იყენებენ. სწორედ ამის გამო, ზოგიერთი დელეგაციის წარმომადგენელს ჟენევის კონვენციების I დამატებითი ოქმის ტექსტზე მუშაობის პროცესში საკმაოდ თავშეკავებული პოზიცია ჰქონდა, რადგან არ სურდათ, რომ თავდასხმის განმახორციელებელი მხარის წინააღმდეგ წარმოებულ საბრძოლო მოქმედებებში დამატებით შეზღუდვებს დათანხმებოდნენ. სხვაგვარად რომ ითქვას, თავდაცვის შესახებ ბუნებითი სამართლის ნორმები ყველა სხვა სამართლებრივ ვალდებულებას აღემატება და სახელმწიფოებს სამოქალაქო მოსახლეობის საფრთხის წინაშე დაყენების უფლებას აძლევს, თუკი ეს ტერიტორიის დასაცავად აუცილებელია. ეს არგუმენტები დიპლომატიურ კონფერენციაზე მართლაც წამოწიეს სხვადასხვა დელეგაციის წარმომადგენლებმა (კერძოდ, იხილეთ საფრანგეთის დელეგაციის მიერ გაკეთებული განცხადება: CDDH/SR.42, 54-55 პარაგრაფები) თუმცა ეს შეიარაღებული კონფლიქტების სამართლის სტრუქტურის ძირითადი პრინციპების გადახედვისთვის საკმარისი საფუძველი არ არის. შეიარაღებული კონფლიქტების სამართალი გამორიცხავს *ius ad bellum* და *ius in bello* ნორმების ადრესას.

⁹¹ 1976 US Air Force Pamphlet (გვ. 5-8), 'კომბატანტებისა და სამოქალაქო პირებისა თუ სამხედრო სამიზნეებისა და სამოქალაქო ობიექტების განსხვავების მოთხოვნა შეიარაღებული კონფლიქტის მხარეებს ზემოხსენებული კატეგორიის პირებისა და ობიექტების იდენტიფიცირებისა და მათი გამოჯვრის ვალდებულებას აკისრებს. ამ წესის მოქმედებისთვის მნიშვნელობა არ აქვს იმ ტერიტორიის სამართლებრივ სტატუსს, რომელზეც ან რომლის თავზეც საბრძოლო მოქმედებები მიმდინარეობს'. განსხვავებული მოსაზრებისთვის იხილეთ Marco Sassoli, 'Targeting: The scope and utility of the concept of military objectives for the protection of civilian in contemporary armed conflicts', გამოცემაში David Wippman and Matthew Evangelista (eds.), *New Wars, New Laws? Applying the laws of War in 21st Century Conflicts*, Transnational Publishers, Ardsley, New York, 2005. ავტორი მიიჩნევს, რომ 'ჩვეულებითი სამართალი და სახელმწიფოებო ნორმები თავდასხმის ადრესატს თავდასხმის განმახორციელებელი მხარის მსგავს ვალდებულებებს არ აკისრებს. შეიარაღებული კონფლიქტის მხარეს, რომელიც თავდასხმისგან იცავს თავს, ევალება რომ საკუთარი სამხედრო სამიზნეების დასაცავად ბოროტად არ ისარგებლოს თავდასხმის განმახორციელებელი მხარის ვალდებულებებით' (გვ. 209).

⁹² როგორც უკვე აღინიშნა, თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად უფრო და უფრო რთული ხდება ჟენევის კონვენციების I დამატებითი ოქმის 58-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულება. ყოფილი იუგოსლავიის ფედერაციული რესპუბლიკისთვის შექმნილი საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალის პროკურორის ინიციატივით შექმნილი კომიტეტის 1999 წლის ანგარიშის მიხედვით, 'მიუხედავად იმისა, რომ თავდასხმის ადრესატმა მხარემ ვერ შეასრულა ამ პირების გარიდების ვალდებულება, პროპორციულობის პრინციპის მოთხოვნების შევასებისას თავდასხმის განმახორციელებელმა მხარემ მაინც უნდა გაითვალისწინოს სამხედრო დანიშნულების შენობებში ან მათ მახლობლად მყოფი სამოქალაქო პირები'. მსგავსი მოსაზრებისთვის, იხილეთ: Bothe et al., იხილეთ მე-19 სქოლიო, გვ. 307, 2.5.3.1 პარაგრაფი.

პასუხისმგებელი კანონიერ სამხედრო სამიზნეზე განხორციელებული თავდასხმის შედაგად გამოწვეული სამოქალაქო მსხვერპლისა და ზიანისთვის, მაშინაც კი, როდესაც თავდასხმის განმახორციელებელმა მხარემ გამოიყენა სიფრთხილის ზომები.⁹³

ზემოხსენებული არგუმენტები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თანამედროვე სტრატეგიების განვითარების კონტექსტში, რომელიც შესაძლებლობას აძლევს შეიარაღებული კონფლიქტის მხარეებს დაიცვან ჟენევის კონვენციების I დამატებითი ოქმის 58-ე მუხლის მოთხოვნები. ტექნოლოგიური განვითარების ყველაზე უფრო თვალშისაცემი სფერო კომუნიკაციები და საინფორმაციო საშუალებებია. თანამედროვე სამოქალაქო ქსელები და სამხედრო მედია ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია.⁹⁴ ანალოგიურად, ასიმეტრიული სტრატეგიების ფართოდ გავრცელებამ ტექნოლოგიის დარგში ნაკლებად განვითარებულ მხარეებსაც მისცა შესაძლებლობა გაზარდონ და უკეთ შენიღბონ თავიანთი სტრატეგიული რესურსები. ამ თვალსაზრისით საუკეთესო სამალავი სწორედ მჭიდროდ დასახლებული ურბანული ზონებია. შესაძლებელია შეიარაღებული კონფლიქტის მხარეებს სხვაგვარად მოქმედების საშუალება არც ჰქონდეთ, თუმცა, ერთი რამ ცალსახაა - ასეთი პრაქტიკა მომავალში მხოლოდ უარყოფითად თუ აისახება შეიარაღებული კონფლიქტის მხარეების მიერ განსხვავების პრინციპის დაცვაზე.

⁹³ შეიარაღებული კონფლიქტის მხარე, რომელიც არ ასრულებს სამოქალაქო მოსახლეობის სამხედრო მოქმედებებისაგან გარიდების ვალდებულებას და ამის გამო საფრთხის ქვეშ აყენებს საკუთარ მოქალაქეებს, საერთაშორისო სამართლის მიხედვით წინასწარ ეთანხმება შეიარაღებული თავდასხმის შედეგებს, რომელიც თავისივე უკანონო ქმედებების არარსებობის პირობებში კანონიერი თავდასხმა იქნებოდა' (US Air Force Pamphlet, 1976, გვ. 5-13).

⁹⁴ Mark Shulman ('Discrimination in the laws of information warfare', *Columbia Journal of Transnational Law*, Vol. 37 (1999), გვ. 963: 'შეიარაღებული ძალები კომუნიკაციისთვის ერთ დროს სამხედრო მედიას იყენებდნენ... დღეისთვის ისინი იყენებენ ინფორმაციის გაცვლის იმავე საშუალებებს, რასაც სამოქალაქო მოსახლეობა იყენებს. ინფორმაციული ბრძოლის კონტექსტში სეგრეგაციის საკითხი ახალ პრობლემებს წარმოშობს'.